5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

5–6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება

თბილისი
2021

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World – Protestant Development Service

კვლევის ხელმძღვანელები: ნიკოლოზ სიმონიშვილი
მერაბ ქართველიშვილი

ავტორები: მარიამ სვიმონიშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე
გვანცა საკანელაშვილი
იოსებ ედიშერაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 5

ფაქტების ქრონოლოგია 6

პრაიდის კვირეულამდე არსებული მდგომარეობა 6

სახელმწიფოს წარმომადგენლების განცხადებები 6

სასულიერო პირების გამოხმაურება 7

ულტრამემარჯვენე ჯგუფების განცხადებები 7

სახალხო დამცველისა და საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება 7

პრაიდის კვირეული 8

1-4 ივლისის მოვლენები 8

5-6 ივლისის მოვლენები 13

სახელმწიფოს ქმედებების შეფასება 25

სახელმწიფოს ზოგადი პოზიტიური ვალდებულებები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით 25

შეკრების თავისუფლება 25

გამოხატვისა და მედიის 26

სათანადო პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება 27

სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება 27

სათანადო რაოდენობის საპოლიციო ძალების მობილიზება 27

ძალადობრივი შემთხვევების დროულად და ეფექტიანად აღკვეთა 28

კონტრდემონსტრაციების მართვა 29

5 ივლისის ფაქტებზე დაწყებული გამოძიება 31

„თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ქრონოლოგია 31

გამოძიების პროცესში საიას ჩართულობა 33

ძალადობრივი ჯგუფის ორგანიზატორების მიმართ მიმდინარე გამოძიება 34

ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავას საქმე 37

დასკვნა 41

რეკომენდაციები 42

შესავალი

წლებია, საქართველოში არ არის უზრუნველყოფილი ლგბტქ+ პირთა უფლებების დაცვა. განსაკუთრებული გამოწვევაა მათი გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების სათანადოდ რეალიზება. აგრეთვე, გაიზარდა მედიის წარმომადგენელთა პროფესიულ საქმიანობაში ჩარევისა და მათ მიმართ ძალადობის შემთხვევები. გარდა ამისა, ბოლო წლებში განხორციელებული თავდასხმები, ძირითადად, გამოუძიებელია.[1] ამ გამოწვევათა კულმინაციის ნათელი მაგალითია თბილისში 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენები.

„თბილისი პრაიდის" ორგანიზებით საქართველოში ღირსების კვირეული იგეგმებოდა, თუმცა ღონისძიებების გამართვას საფრთხე შეუქმნეს ჰომოფობიურმა ჯგუფებმა. 5 ივლისს „ღირსების მარშის" წინააღმდეგ გამართულ კონტრაქციაზე ულტრამემარჯვენე ჯგუფის წევრები ათობით მედიის წარმომადგენელს თავს დაესხნენ, მიაყენეს ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაუმტვრიეს ტექნიკა. სახელმწიფომ არ უზრუნველყო ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება და მათი აღკვეთა. შედეგად, „თბილისი პრაიდი" იძულებული გახდა, ღონისძიება გაეუქმებინა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს დაიწყო გამოძიება ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობის,[2] სხვისი ნივთის დაზიანებისა და განადგურების[3] ფაქტებზე. ამავე დღეს შსს-ს მიერ გავრცელებული განცხადებით დადგინდა, რომ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით 55 პირის, მათ შორის, 53 სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლის მიმართ გამოვლინდა ძალადობის ფაქტები.[4] აგრეთვე, 5-დან 30 ივლისის შუალედში საქართველოს პროკურატურამ 31 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 53-ს, მათ შორის, 42 ჟურნალისტსა და ოპერატორს.[5]

საბოლოო ჯამში, მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ფაქტებზე მოახდინა რეაგირება და გამოძიება დაიწყო, მათ შორის ძალადობის ორგანიზატორთა მიმართ, თუმცა მისი მიმდინარეობა, ბრალდებულთა რაოდენობიდან გამომდინარე, არ აღმოჩნდა ყოველმხრივი და სათანადოდ ეფექტიანი. გარდა ამისა, გამოძიებას ამ დრომდე არ გამოუკვეთია ძალადობის ორგანიზატორები.

---

[1] 2019 წლის 20-21 ივნისს ანტისაოკუპაციო აქციის დაშლისას დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების საქმეებზე საგამოძიებო პროცესი ხარვეზიანად მიმდინარეობს, არ არის სრულყოფილი და, შედეგად, არ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტს. იხ. „საია 20 ივნისს დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების სახელით ევროპულ სასამართლოს მიმართავს", *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი*, 07.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3obRnn5, განახლებულია: 09.11.2020.

[2] გამოძიება დაიწყო სსკ-ის 154-ე და 126-ე მუხლებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, სამინისტროს ვებგვერდი, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31IKguM, განახლებულია: 09.11.2021.

[3] შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ktf0GM, განახლებულია: 10.11.2021.

[4] „შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია - 5 ივლისს პოლიციის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევის ფაქტების და მათზე მომხდარი რეაგირების შესახებ", შსს-ს ვებგვერდი, 05.07.2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31UKTld, განახლებულია: 10.11.2021.

[5] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/50232 წერილი, 17.08.2021.

მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია ღირსების კვირეულამდე არსებული მდგომარეობა, სხვადასხვა ჯგუფის მიერ გაკეთებული განცხადებები და ზოგადი განწყობები საზოგადოებაში. ასევე, შესწავლილია კვირეულის დროს განვითარებული მოვლენები და გაანალიზებულია ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. გარდა ამისა, შეფასებულია დაწყებული გამოძიების მიმდინარეობა, შედეგები და მათი შესაბამისობა რეალურ ფაქტობრივ გარემოებებთან.

ანგარიში მომზადდა სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით:

საჯარო ინფორმაცია: კვლევის ფარგლებში შეფასებულია სხვადასხვა უწყების მიერ ღირსების კვირეულის მოვლენებთან დაკავშირებით საჯაროდ გავრცელებული ოფიციალური განცხადებები. აგრეთვე, დამატებით, ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან.

მედიამონიტორინგი: ანგარიშზე მუშაობისას გაანალიზებულია ღირსების კვირეულამდე, მის განმავლობაში და 6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით მედიასაშუალებების, ონლაინგამოცემების პირდაპირი ჩართვები და ღია წყაროებში არსებული სხვა ინფორმაცია.

სისხლის სამართლის საქმის მასალები: გამოძიების ეფექტიანობის შეფასების მიზნით შესწავლილია სისხლის სამართლის საქმეთა მასალების ნაწილი,[6] რომელშიც ფიგურირებს საიას დაცვის ქვეშ მყოფი 19 დაზარალებული პირი.

კანონმდებლობისა და რელევანტური სტანდარტების ანალიზი: ორგანიზაციამ გაანალიზა შიდა კანონმდებლობა, რელევანტური კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

[6] მოთხოვნის მიუხედავად, საიას საქართველოს პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმის მასალები სრულად არ მიაწოდა.

ფაქტების ქრონოლოგია

პრაიდის კვირეულამდე არსებული მდგომარეობა

2021 წლის 4 ივნისს ლგბტქ+ თემის უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „თბილისი პრაიდმა" 1-5 ივლისის ჩათვლით პრაიდის კვირეულის ჩატარება დააანონსა.[7] თარიღის მოახლოებასთან ერთად, ორგანიზატორები აქტიურად მოითხოვდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან შეხვედრას დაგეგმილი ღონისძიებების უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობის მიზნით. შეხვედრები გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან,[8] თუმცა სახელმწიფომ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების სრულყოფილად დაცვა მაინც ვერ უზრუნველყო.

სახელმწიფოს წარმომადგენლების განცხადებები

„ღირსების მარშის" ჩატარებასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან პრაიდის კვირეულის წინა პერიოდში თითქმის ერთნაირი განცხადებები კეთდებოდა. ძირითადი მესიჯი იყო, რომ ქვეყანაში არავის უფლება არ ირღვეოდა: *„ამის პოპულარიზაციის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ კანონის წინაშე ყველა თანასწორი ვართ"* - საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ვოლსკი;[9] *„რთული სათქმელია, უფლებების შეზღუდვა არ მგონია იყოს, არავინ არ უშლის იმის გაკეთებას, რისთვისაც მონდომებული და მოწოდებულია ეს ხალხი. რაც შეეხება უფრო ხმამაღალ გამოხატვას, არ ვიცი, საზოგადოების სხვა ნაწილსაც უნდა ჰკითხონ ალბათ და მაინცდამაინც კონფრონტაციაზე არ უნდა წავიდნენ"* - უმრავლესობის წევრი დავით სერგეენკო.[10] კონტექსტის და კონკრეტული ადამიანების მხრიდან „ღირსების მარშის" არასწორად გამოყენების არგუმენტით, მის ჩატარებას ასევე მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ირაკლი კობახიძე, პარლამენტარი ალუდა ღუდუშაური და თბილისის მერი კახი კალაძე.[11] *„მე მაქვს ჩემი პირადი დამოკიდებულება - მგონია, რომ სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ ღონისძიების ჩატარებაზე" - კახა კალაძე; „ძალიან კომპლექსურია ეს კონტექსტი და მისი გათვალისწინებით პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს, წესით, ეს არ უნდა დაეგეგმათ"* - ირაკლი კობახიძე.[12] ალუდა ღუდუშაურის განცხადებით კი, პრაიდის ორგანიზება მიზნად ისახავდა დაძაბულობის ხელოვნურად შექმნას.[13]

---

[7] „თბილისი პრაიდი" 5 ივლისს რუსთაველზე „ღირსების მარშს" გამართავს", *„ნეტგაზეთის" ვებგვერდი*, 04.06.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/546305/, განახლებულია: 09.11.2020.

[8] „ვცდილობთ, ხელისუფლებასთან შეხვედრას უსაფრთხოების დეტალებზე - თაბაგარი პრაიდზე", *ტელეკომპანია „მთავარი არხის" ვებგვერდი*, 29.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3urZkr1, განახლებულია: 09.11.2020.

[9] „ამის პოპულარიზაციის წინააღმდეგი ვარ" - ვოლსკი „თბილისი პრაიდის" კვირეულზე", *ტელეკომპანია „მთავარი არხის" ვებგვერდი*, 16.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ATOOeK, განახლებულია: 09.11.2020.

[10] *„ვერ განგიმარტავთ რა არის პრაიდი - დავით სერგეენკო", „ბათუმი ნიუსის" ვებგვერდი*, 18.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H3u7QW, განახლებულია: 09.11.2020.

[11] „კახა კალაძე - „პრაიდის" კვირეული მიზანშეწონილად არ მიმაჩნია - არსებობენ კონკრეტული ჯგუფები, რომლებმაც შეიძლება, ეს არასწორად გამოიყენონ", „ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი, 29.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ifZjSl, განახლებულია: 09.11.2021.

[12] „ირაკლი კობახიძე პრაიდზე - მგონია, რომ სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ ამ ღონისძიების ჩატარებაზე", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 17.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uokrdY, განახლებულია: 09.11.2021.

[13] „უმჯობესი იქნება, თუ თავს შეიკავებენ და არ ჩატარდება - ღუდუშაური „თბილისი პრაიდზე", *ტელეკომპანია „მთავარი არხის" ვებგვერდი*, 18.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ujqnop, განახლებულია: 09.11.2021.

სასულიერო პირების გამოხმაურება

„ღირსების მარშის“ ჩატარების საკითხს აქტიურად განიხილავდნენ სასულიერო პირებიც. ისინი პრაიდს ქვეყნის თვითმყოფადობის, ტრადიციების, ცხოვრების წესის შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ და მის ჩატარებას ეწინააღმდეგებოდნენ. სასულიერო პირები მრევლს მოუწოდებდნენ, აღმსარებლობის დასაცავად გამოსულიყვნენ „სიბილწის“ წინააღმდეგ.[14] პრაიდის კვირეულის დაწყებამდე სამი დღით ადრე საკითხს ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა საპატრიარქო და პრაიდი არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდად შეაფასა.[15]

ულტრამემარჯვენე ჯგუფების განცხადებები

პრაიდის დაანონსების შემდეგ არაერთი განცხადება გაკეთდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერაც. ღონისძიების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი ზურაბ მახარაძე საყოველთაო მობილიზებას და კვირეულის ჩაშლას გეგმავდა.[16] კვირეულის ფარგლებში ნებისმიერი ღონისძიებისთვის ხელის შეშლის, განსაზღვრული ადგილების დაკავების მოწოდებით გამოდიოდა „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ხელმძღვანელი გურამ ფალავანდიშვილიც.[17] დაანონსებული ქმედებების შედეგად სავარაუდოდ დაზარალებულ ადამიანებზე პასუხისმგებლობას ულტრამემარჯვენე ძალები სრულად სახელმწიფოს აკისრებდნენ.[18]

სახალხო დამცველისა და საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება

ქვეყანაში ლგბტქ+ პირთა დარღვეულ უფლებებზე სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს.[19] ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი მოწოდებებისა და ხელისუფლების არასათანადო რეაგირების შემდეგ სახალხო დამცველმა სამართალდა-

---

[14] „მეუფე დანიელი „თბილისი პრაიდზე“ - ისეთი რამ, რაც შეურაცხყოფს ქვეყნის თვითმყოფადობას, ტრადიციებს, ცხოვრების წესს, საჯაროდ არ უნდა ხდებოდეს“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 27.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3maMNEu, განახლებულია: 09.11.2021; „20 ივნისს სოდომისტებმა დაიწყეს შტურმი პარლამენტზე - მეუფე სტეფანე“, *ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ვებგვერდი*, 21.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F0GZ9q, განახლებულია: 09.11.2021; „მეუფე სტეფანე „თბილისი პრაიდის“ პარალელურად დაგეგმილ აქციაზე - ეს არის სოდომური ცოდვის პროპაგანდის საწინააღმდეგო აქცია“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 27.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CVVedG, განახლებულია: 09.11.2021; „მეუფე სპირიდონი „თბილისი პრაიდზე“ - ქუდზე კაცი უნდა გავიდეს, არ მისცეს უფლება იმ გარყვნილ და გაუბედურებულ ხალხს, საქართველოს ღვთის რისხვა დაატეხონ თავზე“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 28.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zT9SAu, განახლებულია: 09.11.2021.

[15] „საქართველოს საპატრიარქოს განცხადება“, *საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდი*, 29.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XV5kwq, განახლებულია: 09.11.2021.

[16] „ღირსების მარშის” მოწინააღმდეგეები რუსთაველის გამზირის გაკონტროლებას აპირებენ“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 24.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zJUiqU, განახლებულია: 09.11.2021.

[17] „გურამ ფალავანდიშვილი პრაიდის ჩასაშლელად რუსთაველზე კარვების დადგმას აპირებს“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 28.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uj4XaS, განახლებულია: 09.11.2021.

[18] „გურამ ფალავანდიშვილი - „თბილისი პრაიდს“ წინ აღვუდგებით შიშველი ხელებით, დავიკავებთ იმ ტერიტორიებს, სადაც უნდა გაიარონ“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 29.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3A0KUzv, განახლებულია: 09.11.2021.

[19] „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით“, *საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი*, 17.05.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wtuLlH, განახლებულია: 09.11.2021.

მცავებს პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და მოქალაქეების გამოხატვის თავისუფლების დაცვისკენ მოუწოდა.[20] უმცირესობების უფლებების დარღვევის საფრთხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, განცხადებები გააკეთეს ადგილობრივმა[21] და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც.[22] უფლებადამცველები, ევროპარლამენტარები და ელჩები ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, პრაიდის მონაწილეებისთვის მიეცათ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების გამოყენების შესაძლებლობა, ასევე დაეცვათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.[23]

პრაიდის კვირეული

2021 წლის 1-ლ ივლისს „თბილისი პრაიდმა“ სოციალური მედიის საშუალებით გამოაქვეყნა ფოტოები, რომლითაც ოფიციალურად გახსნა „პრაიდის კვირეული“.[24] ამავე დღეს დაგეგმილი იყო პრაიდის შესახებ ბრიტანული დოკუმენტური ფილმის ჩვენება, 3 ივლისს - ღია ცის ქვეშ ფესტივალი ლგბტქ+ თემის წევრი ხელოვანებისა და მუსიკოსების მონაწილეობით, ხოლო 5 ივლისს - „ღირსების მარში“.[25]

1-4 ივლისის მოვლენები

1-ლი ივლისი - კინოჩვენება

პირველ ივლისს თბილისი პრაიდის კვირეული დაიწყო.[26] გამხსნელ ღონისძიებაზე ბრიტანული დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც 2019 წლის პრაიდის მოვლენებს შეეხება.[27] კინოჩვენებას, ლგბტქ+ წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებთან ერთად, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის, გერმანიის, ბრიტანეთისა და ისრაელის ელჩები ესწრებოდნენ.[28]

---

[20] „მოვუწოდებ პოლიციას, ძალადობის დასაზღვევად გადადგას პრევენციული ნაბიჯები - ლომჯარია პრაიდზე“, *ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ვებგვერდი*, 29.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zKekBL, განახლებულია: 09.11.2021.

[21] „სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!“, „კოალიცია თანასწორობისათვის” და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები გმობენ ქართული ოცნების წარმომადგენლების ჰომოფობიურ განცხადებებს“, *კოალიცია თანასწორობისთვის ვებგვერდი*, 21.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uxRUCR, განახლებულია: 09.11.2021.

[22] „ევროპარლამენტარები საქართველოს შს მინისტრს მიმართავენ და „თბილისი პრაიდის“ მონაწილეების ეფექტიან დაცვას სთხოვენ“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 28.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3m98DIM, განახლებულია: 09.11.2021.

[23] „იმედი გვაქვს, ყველაფერი მოხდება მშვიდობიანად - დეგნანი პრაიდის კვირეულზე“, *ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ვებგვერდი*, 29.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ujr3Kt, განახლებულია: 09.11.2021.

[24] Tbilisi Pride [Facebook-გვერდი], 01.07.2021, „პრაიდის კვირეულის პირველი ღონისძიება დაიწყო“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ynWkfD, განახლებულია: 09.11.2021.

[25] „Tbilisi Pride Week 2021“, *თბილისი პრაიდის ვებგვერდი*, 16.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yrhQQD, განახლებულია: 09.11.2021.

[26] „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში პირველი ღონისძიება მიმდინარეობს, რომელსაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებიან“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bSaSeP, განახლებულია: 09.11.2021.

[27] „თბილისი პრაიდის“ კვირეული 2019 წლის მოვლენებზე მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებით გაიხსნა“, *„იმედინიუსის“ ვებგვერდი*, 02.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mYcAkZ, განახლებულია: 09.11.2021.

[28] „ამაყი ვარ, რომ დღეს საღამოს „ღირსების მარშის» პრემიერას დავესწარი - ისრაელის ელჩი“, *On.ge-ის ვებგვერდი*, 02.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jth3dW, განახლებულია: 09.11.2021.

ღონისძიების დაწყებამდე შსს-მ გაავრცელა განცხადება, რომ მიიღებდა შესაბამის ზომებს კინოჩვენების უსაფრთხოდ ჩატარების, მართლწესრიგისა და თითოეული ადამიანის შეკრების/გამოხატვის თავისუფლების დასაცავად.[29] შესაბამისად, ტერიტორიაზე მობილიზებული იყო პოლიცია.[30]

ღონისძიების ჩასაშლელად შეკრებილები იყვნენ ულტრაკონსერვატორული ჯგუფები.[31] ისინი კინოჩვენების მონაწილეებს ესროდნენ სხვადასხვა ნივთს, მათ შორის, კვერცხებსა და ბოთლებს.[32] მიუხედავად იმისა, რომ კლუბის შესასვლელთან იდგნენ სამართალდამცავები და ცდილობდნენ ამ პირების შეკავებას, კვერცხი მოხვდა აშშ-ის საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელსაც.[33] ღონისძიების დასრულების შემდეგ დამსწრეები პოლიციის ცოცხალი კორდონის გავლით განარიდეს აგრესიულად განწყობილ ადამიანებს, რაც „პრაიდის კვირეულის“ ორგანიზატორებმა დადებითად შეაფასეს.[34] ადმინისტრაციული წესით დააკავეს ძალადობრივი ჯგუფის 23 წარმომადგენელი, რომელთაგან 20 მომდევნო დღეს ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.[35]

3 ივლისი - ფესტივალი ლისის ტერიტორიაზე

კვირეულის მეორე ღონისძიება, ფესტივალი, ჩატარდა ლისის ტბის ტერიტორიაზე.[36] ღონისძიებას ასობით ადამიანთან ერთად ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის, ევროკავშირის, საფრანგეთის და ნიდერლანდების ელჩები.[37] ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა ამ ღონისძიების ჩაშლაც სცადეს.[38] თუმცა, სამართალდამცავები ფესტივალის მთელ პერიმეტრს აკონტროლებდნენ. შიდა ტერიტორიაზე ასევე იყო კერძო დაცვა.[39] შესაბამისად, ღონისძიება ძალადობის გარეშე დასრულდა და დამსწრეებმა სახლში წასვლა პოლიციის მიერ უზრუნველყოფილი მიკროავტობუსით შეძლეს.[40]

---

[29] „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, *შსს-ს ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yqsze9, განახლებულია: 09.11.2021.

[30] „პრაიდის კვირეულის“ ორგანიზატორები ამ ეტაპისთვის დადებითად აფასებენ პოლიციის მუშაობას“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F1OPP4, განახლებულია: 09.11.2021.

[31] „ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა აშშ-ის საელჩოს თანამშრომელს კვერცხი მოარტყეს“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WDdZmf, განახლებულია: 09.11.2021.

[32] *იქვე.*

[33] *იქვე.*

[34] „პრაიდის კვირეულის“ ორგანიზატორები ამ ეტაპისთვის დადებითად აფასებენ პოლიციის მუშაობას“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F1OPP4, განახლებულია: 09.11.2021.

[35] „პოლიციამ დაკავებული ძალადობრივი ჯგუფის 20 წევრი ხელწერილით გაათავისუფლა“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 02.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BtXLLD, განახლებულია: 09.11.2021.

[36] „ფოტორეპორტაჟი: ღირსების ფესტივალი - თბილისი პრაიდის კვირეული გრძელდება“, *On.ge-ის ვებგვერდი*, 04.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BjSmXg, განახლებულია: 09.11.2021.

[37] *იქვე.*

[38] „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ [Facebook-გვერდი], 03.07.2021, „#2 ახალ იპოდრომთან (ლისზე). ლგბტ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი პროპაგანდისტული კონცერტის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yw3wGA, განახლებულია: 09.11.2021.

[39] „ფოტორეპორტაჟი: ღირსების ფესტივალი - თბილისი პრაიდის კვირეული გრძელდება“, *On.ge-ის ვებგვერდი*, 04.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BjSmXg, განახლებულია: 09.11.2021.

[40] *იქვე.*

სახელმწიფოს წარმომადგენლების გამოხმაურება

პრაიდის კვირეულის დაწყებას სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. პარლამენტის წევრებმა ანრი ოხანაშვილმა[41] და კახა კუჭავამ[42] აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა, გაატაროს ყველა აუცილებელი ზომა გამოხატვის თავისუფლების დასაცავად. მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებაც, რომელმაც დაგმო ძალადობის, მუქარის, ზეწოლისა და სიძულვილის ენის გამოყენების ყველანაირი ფორმა.[43]

სახალხო დამცველისა და საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება

ღირსების კვირეულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა თავის განცხადებაში კომპეტენტურ ორგანოებს და თანამდებობის პირებს მოუწოდა, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც „ღირსების მარშის“ მონაწილეების უსაფრთხოებას, გამოხატვის და შეკრების თავისუფლებას რეალურად დაიცავდა.[44] აგრეთვე, დაუსჯელობის განცდისა და მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ეფექტიანი რეაგირება მოეხდინათ შესაძლო კანონდარღვევის ფაქტებზე და გაეკეთებინათ ლგბტქ+ თემის მხარდამჭერი განცხადებები.[45]

რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურებას, გავრცელდა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის წარმომადგენლობის, ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, ესპანეთის, ესტონეთის, ისრაელის, კანადის, ნიდერლანდების სამეფოს, ნორვეგიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ფინეთის, შვედეთის, შვეიცარიის, ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოების და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ერთობლივი განცხადება, რომელიც ყველას გამოხატვის თავისუფლების დაცვისკენ მოუწოდებდა.[46]

რელიგიური ორგანიზაციების განცხადებები

3 ივლისს გამოქვეყნებული განცხადებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო მოსახლეობას 5 ივლისს „ღირსების მარშის“ „მშვიდობიანად გასაპროტესტებლად“ იწვევდა.[47] საგულისხმოა მღვდელმთავრების ნაწილის პოზიციაც,

---

[41] „ანრი ოხანაშვილი „თბილისი პრაიდზე“ - სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც საჭიროა ნებისმიერი გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისთვის“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gIBLEG, განახლებულია: 09.11.2021.

[42] „კახა კუჭავა „თბილისი პრაიდის“ კვირეულზე - იმედი მაქვს, ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს არ ექნება გასაწევი ის სამუშაო, რომელიც სალაპარაკო გახდება ყველა მხრიდან, რომ სადმე ადგილი ჰქონდა ძალადობას“, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WEyhfJ, განახლებულია: 09.11.2021.

[43] „საქართველოს პრეზიდენტი - ჩემთვის მიუღებელია ძალადობის, მუქარის, ზეწოლისა და სიძულვილის ენის გამოყენების ყველანაირი ფორმა“, *საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yulWro, განახლებულია: 09.11.2021.

[44] „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება „ღირსების მარშთან“ დაკავშირებით“, *საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WuaRd3, განახლებულია: 09.11.2021.

[45] *იქვე*.

[46] „დაიცავით შეკრების თავისუფლების უფლება თბილისში, 2021 წლის პრაიდის კვირეულზე“, *საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3t6BRuY, განახლებულია: 09.11.2021.

[47] „საქართველოს საპატრიარქოს განცხადება“, *საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდი*, 03.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kyk384, განახლებულია: 09.11.2021.

რომ „თბილისი პრაიდის“ ჩატარების საკითხი ეკლესიის საქმე არ იყო.[48] საქართველოს საპატრიარქოს გარდა, განცხადებები გაავრცელეს სხვა კონფესიების წარმომადგენლებმაც. კერძოდ, „თბილისის დიდი სინაგოგა” ითხოვდა, ხელისუფლებას არ დაეშვა პრაიდის ჩატარება.[49] იმავეს იმეორებდა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოც“.[50]

4 ივლისი - რადიკალური ჯგუფების მობილიზება და ძალადობრივი განცხადებები

4 ივლისს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ არსებობდა 5 ივლისს დაპირისპირებისა და მსხვერპლის მაღალი ალბათობა. ამაზე მიუთითებდა აგრესიული ჯგუფების წარმომადგენელთა ქმედებები და განცხადებები.

4 ივლისს გამოქვეყნდა ვიდეორგოლი „საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების მოწოდება: 5 ივლისს ყველანი რუსთაველზე!“ კლიპი საზოგადოებას რუსთაველზე უხმობდა, რათა პრაიდის ჩატარების საშუალება არ მიეცათ.[51] 4 ივლისს ასევე მოეწყო აქცია ევროკავშირის საელჩოსთან, რომელსაც „პრაიდის დამძალებელ საელჩოს“ უწოდებდნენ.[52] ვიდეოში ჩანდა რეგიონებიდან თბილისისკენ მომავალი კოლონებიც.[53]

გარდა ამისა, „თბილისი პრაიდის“ გასაპროტესტებლად „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებისა“ და პარტია „ქართული იდეის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ და კარვები გაშალეს.[54] მათ რამდენჯერმე მკაფიოდ აღნიშნეს, რომ მომდევნო დღეს გეგმავდნენ პოლიციის ფუნქციების შეთავსებას, „ღირსების მარშის“ მონაწილეებისთვის პლაკატების წართმევას და ტერიტორიიდან მათ გაყვანას.[55] აგრეთვე, „ბავშვთა უფლებების

---

[48] „მღვდელმთავრების ნაწილი აცხადებს, რომ ეკლესიის საქმე არ არის, ჩატარდება თუ არა „თბილისი პრაიდი“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 04.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jtAQtF, განახლებულია: 09.11.2021.

[49] „პრაიდს“ საქართველოს მუსლიმთა სამმართველო და „თბილისის დიდი სინაგოგაც“ დაუპირისპირდნენ“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 04.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gQsDhl, განახლებულია: 09.11.2021.

[50] *იქვე*.

[51] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების მოწოდება: 5 ივლისს ყველანი რუსთაველზე!“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3t15Lk8, განახლებულია: 09.11.2021.

[52] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „კიდევ ერთი აქცია პრაიდის დამძალებელ ევროკავშირის საელჩოსთან“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mNWLOf, განახლებულია: 09.11.2021.

[53] თავისუფალი საქართველო - Free Georgia [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „საქართველო დაძრულია თბილისისაკენ, ავტობანი გადატენილია“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DBaOwm, განახლებულია: 09.11.2021.

[54] „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები რუსთაველის მეტროსთან კარვების გაშლას და ღამის გათენებას გეგმავენ“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 04.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F9afe0, განახლებულია: 09.11.2021.

[55] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „ვიწყებთ კარვების გაშლას. პრაიდის წინააღმდეგ მეტრო რუსთაველთან“, 05:03-05:20 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kHOgBD, განახლებულია: 09.11.2021; ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „კარვები გაიშალა. გელოდებით რუსთაველის მეტროსთან, არ დავუშვათ ე.წ. პრაიდი“, 05:35-05:40 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jyr2OS, განახლებულია: 09.11.2021; გურამ ფალავანდიშვილი - „[...] *აქ არის ბრძოლა, ჩვენ ფიზიკურად ვაპირებთ [...] მათ გაჩერებას. [...] ვაპირებთ, რომ პლაკატები ჩამოვართვათ და გავიყვანოთ ტერიტორიიდან.*“, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „რუსთაველის მეტროსთან, გამოდით შვილების დასაცავად“, 00:39-01:25 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jEJDsA, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, გურამ ფალავანდიშვილი - *„[...] ჩვენ გვინდა, შევითავსოთ პოლიციის ფუნქციები“*, 11:58-12:00 წთ.

დაცვის საზოგადოების“ წარმომადგენელმა გურამ ფალავანდიშვილმა არაერთხელ გაიმეორა, რომ სავარაუდო იყო დაპირისპირება და სიტუაციის ესკალაცია,[56] ასევე, მოსალოდნელი იყო მსხვერპლი.[57] მსგავსი შინაარსის განცხადება გაავრცელა „ქართული მარშის“ გენერალურმა მდივანმა ირაკლი შიხიაშვილმაც, რომელმაც არ გამორიცხა, რომ, შესაძლოა, აქციაზე დაპირისპირება მომხდარიყო.[58]

რუსთაველის მეტროს წინ დაბანაკებულები დილის 10 საათიდან ხალხის ნაკადის ზრდას ელოდნენ.[59] „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ფალავანდიშვილმა 4 ივლისს განაცხადა, რომ, მათი ინფორმაციით, შესაძლებელი იყო, „ღირსების მარშის“ მონაწილეები შუადღის 12 საათიდან გამოსულიყვნენ.[60] შესაბამისად, არსებობდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ დაპირისპირება დილიდანვე დაიწყებოდა.

---

[56] გურამ ფალავანდიშვილი - *„შეიძლება მოხდეს გამოუსწორებელი ამბები, ესკალაცია“*, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „ვიწყებთ კარვების გაშლას. პრაიდის წინააღმდეგ მეტრო რუსთაველთან“, 05:29-05:35 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kHOgBD, განახლებულია: 09.11.2021; გურამ ფალავანდიშვილი - „არ ვაპირებთ უბრალოდ დგომას, მოსულები ვართ საბრძოლველად, ფიზიკურად საბრძოლველად“, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „გელოდებით დილიდან მეტრო რუსთაველთან“, 04:28-04:36 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V9vXwx, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, გურამ ფალავანდიშვილი - *„მოხდება გამოუსწორებელი ვნებათაღელვა“*, 05:29-05:33 წთ; *იქვე*, გურამ ფალავანდიშვილი - „20 ივნისი მონაგონი იქნება“, 07:55-07:58 წთ. გურამ ფალავანდიშვილი - *„[...] მოხდება საოცარი დაპირისპირება“*, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „რუსთაველის მეტროსთან, გამოდით შვილების დასაცავად“, 08:30-08:32 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jEJDsA, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, *„[...] თუ მოხდა ჩვენი გადათელვა პოლიციის მიერ [...], იხუვლებს ხალხი და 2013-ზე ბევრად უარესი რაღაც მოხდება“*, 11:19-11:30 წთ; *იქვე*, ალექსანდრე ფალავანდიშვილი - *„ზუსტად როგორც 2013 წელს იყო, დაახლოებით იმ სტილში ჩვენ შევაჩერებთ [...] ჩვენი ქვეყნის წაბილწვის მცდელობას“*, 14:47-14:55 წთ.

[57] გურამ ფალავანდიშვილი - *„მე მინდა გითხრათ, რომ მოსალოდნელი არის მსხვერპლი“*, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „ვიწყებთ კარვების გაშლას. პრაიდის წინააღმდეგ მეტრო რუსთაველთან“, 03:55-04:00 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kHOgBD, განახლებულია: 09.11.2021; გურამ ფალავანდიშვილი - *„ძვალ ძალიან სახიფათო დღეა, შეიძლება იყოს მსხვერპლი, კიდევ ერთხელ ვაანონსებ“*, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „კარვები გაიშალა. გელოდებით რუსთაველის მეტროსთან, არ დავუშვათ ე.წ. პრაიდი“, 02:57-03:03 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jyr2OS, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, გურამ ფალავანდიშვილი - *„დიდი საშიშროებაა [მსხვერპლის], ამიტომ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ ნუ გაწირავს თავის ერს და თუ მსხვერპლი იქნა, ნუ ექნება გარანტია, რომ ხალხი გამძვინვარებული არ მოსთხოვს პასუხს ხელისუფლებას და არ წავა მისკენ, და მერე მონაგონი იქნება [...] გავრილოვი [...]* “, 05:59-06:16 წთ; გურამ ფალავანდიშვილი - *„[...] მოსალოდნელია მსხვერპლი“,* იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „აუცილებელია რუსთაველის მეტროსთან მობილიზება“, 04:10-04:14 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38rSRlQ, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, გურამ ფალავანდიშვილი - *„არის ამის [მსხვერპლის] საშიშროება“,* 16:03-16:06 წთ; *იქვე*, გურამ ფალავანდიშვილი - *„აქ ვინც ვიქნებით, ჩვენ გადავალთ შეტევაზე, რომ მათ წავართვათ ხელიდან ბანერები და აქედან გავაგდოთ, ამას შეიძლება მოჰყვეს თავისთავად მსხვერპლი, დაპირისპირება“*, 18:00-18:20 წთ; გურამ ფალავანდიშვილი - „თუნდაც ჭყლეტა იყოს, იქ შეიძლება ხალხი დაიღუპოს“, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „რუსთაველის მეტროსთან, გამოდით შვილების დასაცავად“, 00:39-01:25 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jEJDsA, განახლებულია: 09.11.2021.

[58] „ქართული მარშის“ გენერალური მდივანი „თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვს“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 04.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ofGmky, განახლებულია: 09.11.2021.

[59] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პარაკლისი რუსთაველის მეტროსთან. გამოდით და ერთად დავიცავთ ჩვენი წილი საქართველო. არა ცოდვის პრაიდს“, 55:25-55:30 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kQGXrt, განახლებულია: 09.11.2021.

[60] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 04.07.2021, „აუცილებელია რუსთაველის მეტროსთან მობილიზება“, 01:10-01:15 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38rSRlQ, განახლებულია: 09.11.2021.

5-6 ივლისის მოვლენები

5 ივლისი - „ღირსების მარშის“ გაუქმება და მასშტაბური თავდასხმა მედიის წარმომადგენლებზე

როგორც 4 ივლისს განვითარებული მოვლენებიდან იყო მოსალოდნელი, მართლაც, რუსთაველის ტერიტორიაზე „ღირსების მარშის“ გაპროტესტების მიზნით დილიდანვე ასობით ადამიანმა დაიწყო შეკრება.[61] დაპირისპირების საშიშროება გაამძაფრა მედიის წარმომადგენლების მისამართით რადიკალური ჯგუფების მხრიდან გაკეთებულმა უარყოფითი და ძალადობრივი შინაარსის არაერთმა განცხადებამ.[62] ისინი ჟურნალისტების მიმართ აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ.[63] ხალხის მატებასთან ერთად, აგრესიაც იზრდებოდა.[64] ამ ყველაფრის მიუხედავად, რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ მცირე რაოდენობის პოლიციელი იყო მობილიზებული.[65]

პარალელურად, კონტრაქციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ქაშუეთის უკან მიმდებარე ტერიტორიაზე. „ალტ-ინფოს“ წევრმა ზურაბ მახარაძემ მათ პარლამენტის წინ გაშლილი კარვების დარბევისკენ მოუწოდა: *„აგერ, საკანონმდებლო ორგანოს წინ დაბანაკებული არიან ის პარტიები, რომლებმაც [..] ხელმოწერა გააკეთეს მაგათ რაღაცა სისულელეზე. მაგათი ჩატარებულია ეს პრაიდი [..]“, „[..] მე ახლა გეტყვით, ჩვენ რას ვიზამთ. ახლა ავალთ იქ, საკანონმდებლო ორგანოზე და ნაგვისგან გავწმენდთ [..]“*.[66] კადრებში ასევე ჩანს, როგორ იძლევა ზურაბ მახარაძე მითითებებს კარვების დარბევის დროს.[67] საგულისხმოა, რომ ამ მომენტისთვისაც რუსთაველის ტერიტორიაზე სამართალდამცავები თითქმის არ იყვნენ განლაგებულები, რაზეც ვიდეოში აქციის

---

[61] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „რუსთაველის მეტროსთან, გამოდით შვილების დასაცავად“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jEJDsA, განახლებულია: 09.11.2021.

[62] ალექსანდრე ფალავანდიშვილი - *„მედია [...] არის მტრობაში ჩვენი ქვეყნის“*, იხ. ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „რუსთაველის მეტროსთან, გამოდით შვილების დასაცავად“, 22:25-22:30 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jEJDsA, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, გურამ ფალავანდიშვილი - *„ჩვენ პარლამენტშიც შევალთ, იმ საელჩოებშიც [...] და ტელევიზიებშიც, დავხურავთ იმ ტელევიზიებს. [...] ფიზიკურად შევალთ და გამოვრთავთ ეთერებს“*, 38:00-38:15 წთ.

[63] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „რუსთაველის მეტროსთან, გამოდით შვილების დასაცავად“, 1:17:15-1:18:20 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jEJDsA, განახლებულია: 09.11.2021.

[64] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პირველები“ LIVE“, 20:10-21:55 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yFiudB, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, 27:03-29:20 წთ; *იქვე*, 1:36:40-1:37:00 წთ; Formula - ფორმულა [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „ფორმულას სპეცეთერი - 5 ივლისი“, 11:35-11:50 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yGQ0jq, განახლებულია: 09.11.2021; რადიო თავისუფლება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „სიძულვილის ჯგუფებმა პარლამენტის შენობის წინ კარვები აშალეს“, 0:00-1:51 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mZpe3j, განახლებულია: 09.11.2021; Formula - ფორმულა [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „თავდასხმა მედიაზე - ჰომოფობიური და ძალადობრივი აქციის მონაწილეები „ფორმულას» გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ“, 1:20-1:58 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mVJlQr, განახლებულია: 09.11.2021.

[65] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პირველები“ LIVE“, 20:10-21:55 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yFiudB, განახლებულია: 09.11.2021; იქვე, 27:03-29:20 წთ; რადიო თავისუფლება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „სიძულვილის ჯგუფებმა პარლამენტის შენობის წინ კარვები აშალეს“, 0:00-1:51 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mZpe3j, განახლებულია: 09.11.2021; Formula - ფორმულა [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „თავდასხმა მედიაზე - ჰომოფობიური და ძალადობრივი აქციის მონაწილეები „ფორმულას» გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ“, 1:20-1:58 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mVJlQr, განახლებულია: 09.11.2021.

[66] პუბლიკა - Publika [Facebook-გვერდი], 30.07.2021, „5 ივლისის“ ორგანიზება“, 8:34-9:38 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DEHuoO, განახლებულია: 09.11.2021.

[67] *იქვე.*

მონაწილეც მიუთითებს.[68]

აგრესიულ განცხადებებს მალევე მოჰყვა მედიის წარმომადგენლების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ძალადობის არაერთი შემთხვევა. რადიკალური ჯგუფები თავს დაესხნენ ოპერატორებსა და ჟურნალისტებს, დაუზიანეს ტექნიკა,[69] ცდილობდნენ აქციიდან მათ გაძევებას და რუსთაველის გამზირზე მისდევდნენ.[70] კადრებში ასევე ჩანს, რომ რუსთაველზე ამ მოვლენების დროსაც მხოლოდ რამდენიმე პოლიციელი იყო მობილიზებული.[71] საბოლოოდ, დღის განმავლობაში მედიაზე ძალადობის 50-ზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა.[72] მათ შორის, საგულისხმოა „ფორმულას“ ჟურნალისტ რატი წვერავაზე თავდასხმა, რა დროსაც აქციის ათობით მონაწილე მას ფიზიკურად გაუსწორდა.[73] ამას წინ უძღოდა ზურაბ მახარაძის მითითება პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან რატი წვერავას გაყვანასთან დაკავშირებით.[74]

დღის განმავლობაში დედაქალაქში დაპირისპირების რამდენიმე კერა არსებობდა. „ღირსების მარშის“ მოწინააღმდეგეები სხვადასხვა ადგილზე იმყოფებოდნენ, მათ შორის, ქაშუეთის ტაძართან, პარლამენტთან, ფილარმონიასთან, „სირცხვილიას“ ოფისთან“, „თბილისი პრაიდის“ ოფისთან, მრგვალ ბაღთან და სხვა ლოკაციებზე.[75]

გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, აგრეთვე ზურაბ მახარაძემ, მოძრაობა „სირცხვილიას“

---

[68] *იქვე*, 9:50-11:00 წთ.

[69] „ნეტგაზეთი“ [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პრაიდის საწინააღმდეგო ძალადობრივ აქციაზე ვითარება დაიძაბა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3idzySG, განახლებულია: 09.11.2021; „რადიკალური ჯგუფები ჟურნალისტებს თავს ესხმიან - დაშავებულია „რუსთავი 2»-ის ოპერატორი“, *„რუსთავი 2“-ის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SRFaIK, განახლებულია: 09.11.2021; „რუსთაველის გამზირზე ძალადობრივი ჯგუფები ჟურნალისტებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ“, *„პუბლიკის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XKgowy, განახლებულია: 09.11.2021; TV Imedi [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „რუსთაველის გამზირზე „იმედის“ ჟურნალისტსა და ოპერატორს თავს დაესხნენ“, 0:07-1:03 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wsEwAR, განახლებულია: 09.11.2021; NEWS. On.ge [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „ჰომოფობიური და ძალადობრივი კონტრაქციის მონაწილეები On.ge-ს ჟურნალისტს დაუპირისპირდნენ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hjzlwQ, განახლებულია: 09.11.2021; „პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის მონაწილეები მედიის წარმომადგენლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kLSiZV, განახლებულია: 09.11.2021; TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „თავდასხმა მედიაზე“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DFM6LG, განახლებულია: 09.11.2021; „სიძულვილის ჯგუფები რადიო თავისუფლების ჟურნალისტებს ფიზიკურად გაუსწორდნენ“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hAnwl4, განახლებულია: 09.11.2021.

[70] „ჰომოფობიურ აქციაზე ჟურნალისტებზე ძალადობენ“, *„ნეტგაზეთის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hD3kPy, განახლებულია: 09.11.2021.

[71] „ნეტგაზეთი“ [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პრაიდის საწინააღმდეგო ძალადობრივ აქციაზე ვითარება დაიძაბა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3idzySG, განახლებულია: 09.11.2021; TV Imedi [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „რუსთაველის გამზირზე „იმედის“ ჟურნალისტსა და ოპერატორს თავს დაესხნენ“, 0:07-1:03 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wsEwAR, განახლებულია: 09.11.2021.

[72] „ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ“, *„მედიაჩეკერის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bSO2DI, განახლებულია: 09.11.2021.

[73] „რადიო თავისუფლება“ [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „ფორმულას» ჟურნალისტ რატი წვერავას სიძულვილის ჯგუფები ფიზიკურად გაუსწორდნენ“, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=213762617288460&t=0, განახლებულია: 09.11.2021.

[74] პუბლიკა - Publika [Facebook-გვერდი], 30.07.2021, „5 ივლისის“ ორგანიზება“, 15:25-15:50 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DEHuoO, განახლებულია: 09.11.2021.

[75] „თბილისში ამ დროისთვის ძალადობის რამდენიმე კერაა - „ინტერპრესნიუსის“ ფოტორეპორტაჟი დაპირისპირების სხვადასხვა ლოკაციიდან“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3t8xKyh, განახლებულია: 09.11.2021.

ოფისზე იერიშის მიტანისკენ მოუწოდეს.[76] შესაბამისად, რადიკალური ჯგუფის ნაწილმა „სირცხვილიას“ ოფისთან გადაინაცვლა.[77] იმის მიუხედავად, რომ ისინი აგრესიით გამოირჩეოდნენ, ადგილზე სულ რამდენიმე პოლიციელი მივიდა.[78] რადიკალური ჯგუფები შენობის მიმართულებით ბოთლებსა და სხვადასხვა საგანს ისროდნენ, კარზე აბრახუნებდნენ.[79] შედეგად, ოფისი დაზიანდა და შუშები ჩაიმსხვრა.[80] საბოლოოდ, მათ შენობაში შესვლა მოახერხეს.[81] სადარბაზოში ასვლისას ისმოდა ძალადობრივი შეძახილები - „მოკალით“.[82] ამ დროს ოფისში იმყოფებოდნენ ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ჟურნალისტი მირანდა ბაღათურია და ოპერატორი ლექსო ლაშქარავა.[83] ამ უკანასკნელს შენობაში შევარდნილი პირები ფიზიკურად გაუსწორდნენ.[84] საგულისხმოა, რომ ამ მოვლენებისას ადგილზე მხოლოდ 1 პოლიციელი მივიდა.[85]

მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისზე თავდასხმის შემდეგ ძალადობრივმა ჯგუფებმა „თბილისი პრაიდის“ ოფისისკენ გადაინაცვლეს. შეკრებილებს ამასთან დაკავშირებით ზურაბ მახარაძემ[86] და ალექსანდრე ფალავანდიშვილმა მოუწოდეს.[87] ადგილზე მისული პირები „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეიჭრნენ,[88] აივანზე აძვრნენ, ლგბტქ+ დროშა დახიეს და საქართველოს დროშა გადმოფინეს.[89] ისინი იმ დროს იქ მომუშავე ჟურნალისტების მიმართ აგრესიას ავლენდნენ.[90] პარალელურად, ალექსანდრე ფა-

---

[76] პუბლიკა - Publika [Facebook-გვერდი], 30.07.2021, „5 ივლისის“ ორგანიზება“, 11:08-11:40 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DEHuoO, განახლებულია: 09.11.2021; ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „აქცია პარლამენტთან. ხალხი რჩება რუსთაველის მეტროსთანაც“, 00:40-00:51 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gV0N3C, განახლებულია: 09.11.2021.

[77] „რადიო თავისუფლება“ [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „სიძულვილის ჯგუფებმა „სირცხვილიას» ოფისთან გადაინაცვლეს“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C1Vgjr, განახლებულია: 09.11.2021; „ძალადობრივი ჯგუფები „სირცხვილიას“ ოფისში შეჭრას ცდილობენ“, *„პუბლიკის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lJsmyp, განახლებულია: 09.11.2021.

[78] *იქვე.*

[79] *იქვე.*

[80] „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები „სირცხვილიას“ ოფისთან მივიდნენ, რომელსაც ქვებს და ბოთლებს ესვრიან“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2VbyRAU, განახლებულია: 09.11.2021. TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პირველები“ LIVE“, 1:35:18 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yFiudB, განახლებულია: 09.11.2021.

[81] „რადიო თავისუფლება“ [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „სიძულვილის ჯგუფებმა „სირცხვილიას» ოფისთან გადაინაცვლეს“, 1:40-2:20 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C1Vgjr, განახლებულია: 09.11.2021.

[82] *იქვე*, 2:20-4:52 წთ.

[83] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პირველები“ LIVE“, 1:17:38-1:18:25 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yFiudB, განახლებულია: 09.11.2021; TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „მოძალადეებმა „სირცხვილიას“ ოფისში ტვ პირველის კამერა დალეწეს, ჟურნალისტს კი მობილური ტელეფონი წაართვეს და დაუმტვრიეს, გადაღება რომ ვერ მოეხერხებინა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bSRa2q, განახლებულია: 09.11.2021.

[84] *იქვე.*

[85] *იქვე.*

[86] ზურაბ მახარაძე - *„[...] ფილარმონიის მიმართულებით ნაწილი გადავა. 200-300 კაცი საკმარისია [...], თუ საჭიროა, ჩვენ სისხლსაც დავღვრით“*, იხ. პუბლიკა - Publika [Facebook-გვერდი], 30.07.2021, „5 ივლისის“ ორგანიზება“, 12:20-12:50 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DEHuoO, განახლებულია: 09.11.2021.

[87] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადეკვატური განცხადებები“, 6:20-6:25 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია: 09.11.2021.

[88] „რადიო თავისუფლება“ [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „სიძულვილის ჯგუფების ნაწილი „თბილისი პრაიდის» ოფისში შეიჭრნენ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F35CBI, განახლებულია: 09.11.2021.

[89] „პრაიდის“ აივანზე ძალადობრივმა ჯგუფებმა LGBTQ+ დროშა დახიეს და საქართველოს დროშა გადმოფინეს“, *„პუბლიკის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Zjshdh, განახლებულია: 09.11.2021.

[90] „საზოგადოება „ღირსების მარშის“ მოწინააღმდეგეთა ნაწილი „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრას

ლავანდიშვილი ავრცელებდა განცხადებას, რომ „თბილისი პრაიდზე“ დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლია.[91] აგრეთვე მიუთითებდა, რომ თუ იმ პირებს დააკავებდნენ, რომლებიც შენობაზე აძვრნენ, მათი მხარდამჭერები პოლიციასა და სასამართლოში ძალის გამოყენებით შევიდოდნენ.[92] საგულისხმოა, რომ ამ მოვლენებს კვლავ მხოლოდ რამდენიმე პოლიციელი ესწრებოდა, რომლებიც ადგილზე ეკიპირების გარეშე მივიდნენ.[93] მათ კანონდამრღვევებისთვის აივანზე აძრომაში ხელი არ შეუშლიათ.[94]

გარდა ამისა, „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა პარლამენტთან ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და ჯვარი აღმართეს.[95] ასევე, პარლამენტის შენობის უკანა შესასვლელთან მივიდნენ და შენობას კვერცხები ესროლეს.[96] ისინი დეპუტატების მისამართით შეურაცხმყოფელ სიტყვებს იყენებდნენ.[97] აგრესიული ჯგუფები შემდეგ გაეროს ოფისისკენ გაემართნენ, სადაც უკვე დიდი რაოდენობით პოლიცია იყო მობილიზებული.[98]

მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმების პარალელურად, დღის განმავლობაში კეთდებოდა აგრესიული განცხადებები და ისმოდა შეძახილები მათი მისამართით.[99] აქციაზე სასულიერო პირმა მრევლს ძალადობისკენ მოუწოდა: *„არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ, იძალადოთ სამშობლოსთვის, იძალადოთ სიწმინდისთვის“.*[100] მსგავსი რიტორიკით გამოირჩეოდა გურამ ფალავანდიშვილიც: *„[..] პირველ რიგში, ჟურნალისტები არიან დამნაშავეები, რომლებიც ეწევიან ჩვენი შვილების მიმართ პროპაგანდას [..]“;*[101] *„[..] როცა ეწევი უბინძურეს ცოდვას, შეიძლება მოიმკო ხალხისგან რის-*

აივნებიდან ცდილობს“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BD5A1k, განახლებულია: 09.11.2021; ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადეკვატური განცხადებები“, 7:00-11:40 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია: 09.11.2021.

[91] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადეკვატური განცხადებები“, 18:20-18:40 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია: 09.11.2021.

[92] *იქვე*, 22:00-22:16 წთ.

[93] *იქვე*, 13:50-15:10 წთ.

[94] *იქვე*, 11:40-18:00 წთ. „საზოგადოება „ღირსების მარშის“ მოწინააღმდეგეთა ნაწილი „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრას აივნებიდან ცდილობს“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BD5A1k, განახლებულია: 09.11.2021.

[95] „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა პარლამენტთან ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და ჯვარი აღმართეს“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yxTdlq, განახლებულია: 09.11.2021.

[96] „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა პარლამენტის შენობას კვერცხები ესროლეს“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kFM1ig, განახლებულია: 09.11.2021.

[97] *იქვე*.

[98] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადეკვატური განცხადებები“, 1:21:58 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია: 09.11.2021; „ღირსები მარშის» მოწინააღმდეგეები გაეროს ოფისთან მივიდნენ“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BBImJ0, განახლებულია: 09.11.2021.

[99] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადეკვატური განცხადებები“, 4:20-4:30 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, 2:43:00-2:44:00 წთ.

[100] „სასულიერო პირი მრევლს დანაშაულის ჩადენისკენ მოუწოდებს“, *„პუბლიკის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Cyub8g, განახლებულია: 09.11.2021; Tbilisi Pride [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ, იძალადოთ სამშობლოსთვის“, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1162285374239814, განახლებულია: 09.11.2021.

[101] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადეკვატური განცხადებები“, 0:59-1:17 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია: 09.11.2021.

ხვა [მიმართავს ჟურნალისტებს] [..];[102] *„[..] თუ პრაიდი გაივლის, პირველი აგრესია წამოვა ჟურნალისტებზე [..]“;*[103] აგრეთვე, ალექსანდრე ფალავანდიშვილი: *„[..] ეს ტელევიზიები არიან ჩვენი ქვეყნის მტრობაში, არიან თანამონაწილეები და აუცილებელია მათი ბოროტი საქმის წინ აღდგომა [..];*[104] *„[..] მედია არის ჩვენს მტრობაში [..]“;*[105] *„[..] გაიქეცით, რადგან ეს ხალხი შეიძლება დაგერიოთ [მიმართავს ჟურნალისტებს] [..]“.*[106] აქციის ერთ-ერთი მონაწილე: *„[..] ყველაზე ვიძალადებ და დავამტვრევ თავპირს [..]“.*[107]

განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, „თბილისი პრაიდმა“ დაგეგმილი მარში გააუქმა.[108] ძალადობრივი ქმედებების საპასუხოდ კი, სამართალდამცველებმა ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარედ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს.[109] ასევე, ისინი ჟურნალისტებისა და ოპერატორების ტერიტორიიდან გარიდებას ცდილობდნენ.[110]

6 ივლისი - „მდუმარე აქცია“ და რადიკალური ჯგუფების „კონტრაქცია“

6 ივლისს წინა დღის ძალადობის გასაპროტესტებლად პარლამენტის წინ მდუმარე აქცია დაანონსდა.[111] პარალელურად, აქცია დაიგეგმა რადიკალური ჯგუფების მიერაც.[112] შედეგად, 6 ივლისიც დაპირისპირებით და თავდასხმებით დაიწყო.[113] თუმცა, წინა დღისგან განსხვავებით, პოლიცია სამართალდამრღვევებს აკავებდა და ტერიტორიიდან გაჰყავდა.[114]

მდუმარე აქციის ფარგლებში პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი.[115] მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა, რომელთაც „თბილისი

---

[102] *იქვე*, 1:30-1:39 წთ.

[103] *იქვე*, 2:50-2:59 წთ.

[104] *იქვე*, 2:00:50-2:01:00 წთ.

[105] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „პარაკლისი“, 18:00-18:04 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jzW8po, განახლებულია: 09.11.2021.

[106] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადეკვატური განცხადებები“, 4:00-4:13 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია: 09.11.2021.

[107] *იქვე*, 2:07:00-2:07:10 წთ.

[108] Tbilisi Pride [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „გამოცხადებული ომი სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული ღირებულებებისა და ქვეყნის ევროპული კურსის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yPHWNE, განახლებულია: 09.11.2021.

[109] „რუსთაველის გამზირზე საავტომობილო მოძრაობა ნაწილობრივ შეზღუდულია, პოლიციამ ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარედ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი,* 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kLRzI0, განახლებულია: 09.11.2021; „პოლიციამ რუსთაველის გამზირზე ჟურნალისტებს გარკვეული მიმართულებით გადაადგილება შეუზღუდა“, *„პუბლიკის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zn5qtC, განახლებულია: 09.11.2021.

[110] „პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის მონაწილეები მედიის წარმომადგენლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი,* 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kLSiZV, განახლებულია: 09.11.2021.

[111] „6 ივლისს, 20:00 საათზე, პარლამენტთან მდუმარე აქცია გაიმართება“, *„ნეტგაზეთის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/552490/, განახლებულია: 09.11.2021.

[112] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „დღეს 19 საათზე პარლამენტთან, არ მივცეთ რევანშისტებს ჯვრის შეურაცხყოფის უფლება“, 2:50-2:57 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AqDC97, განახლებულია: 09.11.2021.

[113] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „დღის ამბები - LIVE“, 31:50-34:40 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kkE5nz, განახლებულია: 09.11.2021.

[114] *იქვე*, 39:37-40:13 წთ; „პარლამენტთან, სადაც მდუმარე აქცია უნდა დაიწყოს, ოპერატორს ფიზიკური დაზიანება მიაყენეს“, *„პუბლიკის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kq2ulj, განახლებულია: 09.11.2021.

[115] „პარლამენტთან გამართული მდუმარე აქცია“, *„ნეტგაზეთის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/552769/, განახლებულია: 09.11.2021.

პრაიდის" წარმომადგენლებიც შეუერთდნენ, პარლამენტის წინ ლგბტქ+ დროშები გაშალეს და ეროვნული ჰიმნი შეასრულეს.[116] ამის პარალელურად, პირველ სკოლასა და ქაშუეთის ეკლესიასთან მათი მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ,[117] რომლებიც კვლავ აგრესიულობით გამოირჩეოდნენ.[118] ისინი პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე შეჭრას ცდილობდნენ, თუმცა ამის საშუალებას მათ პოლიცია არ აძლევდა.[119]

სამართალდამცავებმა ადგილზე რკინის ბარიკადები მიიტანეს[120] და ორ კონტრაქციას შორის ჩადგნენ.[121] მიუხედავად ამისა, აგრესიული ჯგუფები ცდილობდნენ პოლიციის კორდონისა და რკინის ბარიკადების გარღვევას,[122] ასევე, პარლამენტთან მყოფი აქციის მონაწილეების მისამართით ქვებს, კვერცხებსა და ბოთლებს ისროდნენ.[123] ისმოდა აფეთქების ხმებიც.[124] ამის გამო, პოლიციასა და აგრესიულ ჯგუფებს შორის რამდენიმეჯერ მოხდა დაპირისპირება.[125] შედეგად, სამართალდამცავებმა არაერთი პირი დააკავეს და ტერიტორიიდან განარიდეს.[126] „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეთა

---

[116] *იქვე*.

[117] „მდუმარე აქციის მონაწილეებსა და „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეებს შორის პოლიცია დგას", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3obFFc3, განახლებულია: 09.11.2021.

[118] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „დავიცვათ ჯვარი და ქალაქი ლგბტ რევანშისტებისგან", 11:06-13:21 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hOZnZ3, განახლებულია: 09.11.2021; „თბილისი პრაიდის» ერთ-ერთი მოწინააღმდეგე - როგორც „სირცხვილიას» ოფისი დაინგრა გუშინ, ისე დაინგრევა ზურა-გირჩი ჯაფარიძის ოფისი", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Z8R43z, განახლებულია: 09.11.2021.

[119] „მდუმარე აქციის მონაწილეებსა და „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეებს შორის პოლიცია დგას", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3obFFc3, განახლებულია: 09.11.2021.

[120] *იქვე*.

[121] *იქვე*.

[122] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „პირველები - LIVE", 1:56:57-2:01:05 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39i8xIO, განახლებულია: 09.11.2021; TV Imedi [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „ქრონიკა 20:00 საათზე", 46:38-46:59 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H6Bnv9, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, 1:00:45-1:08:45 წთ; პუბლიკა - Publika [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „პარლამენტთან მიმდინარე მდუმარე აქციის მოწინააღმდეგე ძალადობრივი ჯგუფები პოლიციის კორდონის გარღვევას ეტაპობრივად ცდილობენ", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mYmALf, განახლებულია: 09.11.2021; „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეებმა პოლიციის კორდონის და რკინის ჯებირების ნაწილი გაარღვიეს", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qq2dbQ, განახლებულია: 09.11.2021; „რადიო თავისუფლება" [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „სრულდება აქცია „თავისუფლებისთვის", 17:30-20:32 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c0f1gw, განახლებულია: 09.11.2021.

[123] „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეები პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეების მისამართით ქვებს, კვერცხებსა და ბოთლებს ისვრიან", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mYc4n0, განახლებულია: 09.11.2021.

[124] „ძალადობრივი ჯგუფები კორდონებს არღვევენ, აქციაზე ისმის აფეთქების ხმები", *„რადიო თავისუფლების" ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/305pyEP, განახლებულია: 09.11.2021.

[125] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „პირველები - LIVE", 20:45-22:27 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39i8xIO, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, 2:04:03-2:04:10 წთ; *იქვე*, 1:56:57-2:01:05 წთ; *იქვე*, 2:25:19-2:25:30 წთ; *იქვე*, 2:38:29-2:38:40 წთ; TV Imedi [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „ქრონიკა 20:00 საათზე", 1:00:45-1:08:45 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H6Bnv9, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, 1:12:50-1:13:39 წთ.

[126] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „პირველები - LIVE", 1:56:06-1:56:10 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39i8xIO, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, 2:04:03-2:04:10 წთ; *იქვე*, 2:37:11-2:37:23 წთ; TV Imedi [Facebook-გვერდი], 06.07.2021, „ქრონიკა 20:00 საათზე", 6:25-6:39 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H6Bnv9, განახლებულია: 09.11.2021; *იქვე*, 31:20-31:26 წთ; *იქვე*, 1:00:45-1:08:45 წთ; *იქვე*, 1:12:50-1:13:39 წთ; *იქვე*, 1:38:05-1:38:15 წთ; „რადიო თავისუფლება" [Facebook-გვერდი],

ნაწილი მდუმარე აქციის მონაწილეებთან მიახლოებას შემოვლითი გზით ცდილობდა,[127] თუმცა პოლიციამ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა და მათ შორის ჩადგა.[128] სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე, ადგილზე რამდენჯერმე გაიზარდა პოლიციელთა რაოდენობა.[129] მიიტანეს დამატებითი რკინის ჯებირებიც.[130] პარალელურად, მდუმარე აქციის მონაწილეთა ნაწილი ტერიტორიას პოლიციის დახმარებით ტოვებდა.[131] მშვიდობიანი მდუმარე აქციის დასრულების შემდეგ ადგილზე მხოლოდ აგრესიული ჯგუფები დარჩნენ,[132] რომლებიც კვლავ ქვებსა და ბოთლებს ისროდნენ.[133] მოგვიანებით, რუსთაველის გამზირზე სპეცდანიშნულების რაზმიც მივიდა.[134] პოლიციამ რკინის ჯებირებით გადაკეტა ჭიჭინაძის და ჩიტაძის ქუჩების შესასვლელები.[135]

„თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშა კვლავ ჩამოხსნეს.[136] ასევე, განაგრძეს მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმა და ქვები დაუშინეს.[137]

საბოლოოდ, ღამის პირველი საათისთვის პოლიციამ ტერიტორიიდან რადიკალური ჯგუფები გაიყვანა და ორივე აქცია დასრულდა.[138]

06.07.2021, „სრულდება აქცია „თავისუფლებისთვის“, 17:30-20:32 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c0f1gw, განახლებულია: 09.11.2021.

[127] „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეთა ნაწილი მდუმარე აქციის მონაწილეებთან მიახლოებას შემოვლითი გზით ცდილობს - პოლიციამ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა და რკინის ჯებირები დაამატა“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F2TYX8, განახლებულია: 09.11.2021.

[128] *იქვე*.

[129] „მდუმარე აქციის მონაწილეებსა და „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებს შორის პოლიცია დგას“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3obFFc3, განახლებულია: 09.11.2021.

[130] „პარლამენტთან დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზება ხდება“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3klgyCE, განახლებულია: 09.11.2021.

[131] „მდუმარე აქციის მონაწილეთა ნაწილი ტერიტორიას პოლიციის დახმარებით ტოვებს“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YtnHZN, განახლებულია: 09.11.2021.

[132] „რუსთაველზე გამოჩნდა სპეცრაზმი, სიძულვილის ჯგუფები სამართალდამცველებზე ძალადობენ“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hP5xIE, განახლებულია: 09.11.2021.

[133] „სამართალდამცავები პარლამენტის წინ მყოფ მოქალაქეებსა და ჟურნალისტებს ტერიტორიის დატოვებისკენ და გზის სავალი ნაწილის გათავისუფლებისკენ მოუწოდებენ“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qjKx1F, განახლებულია: 09.11.2021.

[134] „რუსთაველზე გამოჩნდა სპეცრაზმი, სიძულვილის ჯგუფები სამართალდამცველებზე ძალადობენ“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hP5xIE, განახლებულია: 09.11.2021.

[135] „პოლიციას ჭიჭინაძის და ჩიტაძის ქუჩების შესასვლელები რკინის ჯებირებით აქვს გადაკეტილი“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F4amqF, განახლებულია: 09.11.2021.

[136] „ძალადობრივმა ჯგუფებმა პარლამენტთან ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დაწვეს“, *„რეგინფოს“ ვებგვერდი*, 07.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3054A94, განახლებულია: 09.11.2021.

[137] „პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა მედიის წარმომადგენლებს ქვები დაუშინეს - დაშავდა ერთ-ერთი ტელეკომპანიის ოპერატორი“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F0UTHG, განახლებულია: 09.11.2021.

[138] „პარლამენტის ტერიტორიაზე ორივე აქცია დასრულებულია, მონაწილეები ტერიტორიიდან პოლიციამ გაიყვანა - რუსთაველის გამზირზე საავტომობილო მოძრაობა აღდგა“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H9c63u, განახლებულია: 09.11.2021.

სახელმწიფოს წარმომადგენლების განცხადებები

5 ივლისს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ „ღირსების მარშთან“ დაკავშირებით გავრცელებული განცხადებები ერთმანეთის მსგავსი რიტორიკის იყო და, ძირითადად, აქციების მასშტაბურობასა და დაპირისპირების საშიშროებაზე მიუთითებდა.

5 ივლისს, დილით, პრემიერ-მინისტრი ამ მოვლენებს განცხადებით გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ „ღირსების მარში“ სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავდა და მისი ჩატარება მიზანშეუწონლად მიიჩნია: *„მოგეხსენებათ, მოსახლეობის უმრავლესობისთვის ამ აქციის ჩატარება არის მიუღებელი, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის არ უნდა ჩატარდეს რუსთაველის გამზირზე [..]“*.[139] ამის შემდგომ, ირაკლი ღარიბაშვილმა რუსთავი 2-ის ეთერში განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ 30 ადამიანი, როდესაც საზოგადოების უმრავლესობა ამ შეკრების წინააღმდეგია.[140]

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჯაროდ მოუწოდა „თბილისი პრაიდის“ მონაწილეებს, რუსთაველის გამზირზე მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ დაგეგმილი აქციების მასშტაბურობიდან გამომდინარე, უარი ეთქვათ საჯარო სივრცეში მარშის გამართვაზე: *„[..] კიდევ ერთხელ საჯაროდ მოვუწოდებთ „თბილისი პრაიდის“ მონაწილეებს, რუსთაველის გამზირზე მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ დაგეგმილი აქციების მასშტაბურობიდან გამომდინარე, უარი თქვან ღია, საჯარო სივრცეში მარშის გამართვაზე [..]“*.[141]

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა „ღირსების მარშის“ მიზნები ოპოზიციური პარტიის სუბიექტურ პოლიტიკურ ინტერესებს დაუკავშირა.[142] აგრეთვე, მიუთითა, რომ მოსალოდნელი იყო აქციაზე მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამოსვლა და დაპირისპირება.[143]

საგულისხმოა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა[144] და თბილისის მერმა[145] იმავე დღეს დაგმეს მედიის წარმომადგენლებზე ძალადობის ფაქტები. მომდევნო დღეს მსგავსი განცხადებები გააკეთეს პრემიერ-მინისტრმა[146] და პარლამენტის წევრმა შალვა პაპუ-

---

[139] „ირაკლი ღარიბაშვილი - დღეს დაანონსებული მარშის ჩატარება მიმაჩნია მიზანშეუწონლად, ქვეყანაში უნდა იყოს წესრიგი და კანონის უზენაესობა; მე, როგორც პრემიერ-მინისტრი და მთავრობის მეთაური, არ დავუშვებ არავითარ ქაოსს და სამოქალაქო დაპირისპირებას, როგორც ჩვენს ხალხს და ჩვენს მოსახლეობას სურს, ისე იქნება ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში“, *საქართველოს მთავრობის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H6FU0D, განახლებულია: 09.11.2021; „ირაკლი ღარიბაშვილი: როცა 95% მარშის ჩატარების წინააღმდეგია, ყველა უნდა დაემორჩილოს“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი,* 12.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3roGQZb, განახლებულია: 09.11.2021.

[140] „ირაკლი ღარიბაშვილი - 30 კაცი როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ, მაშინ უნდა გადაუაროს უმრავლესობას, თუ რა უნდა მომხდარიყო“, - აცხადებს პრემიერ-მინისტრი 5 ივლისთან დაკავშირებით“, *on.ge-ის ვებგვერდი*, 18.09.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31fV1Vq, განახლებულია: 09.11.2021.

[141] „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, *შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dMkjh5, განახლებულია: 09.11.2021.

[142] „ირაკლი კობახიძე - ის, რაც ხდება თბილისში, არის „პრაიდის“ უკან მდგომი რადიკალური ოპოზიციის, „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი პარტნიორი პარტიების ინტერესებში“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WT0WxQ, განახლებულია: 09.11.2021.

[143] *იქვე*.

[144] „საქართველოს პრეზიდენტი - ძალადობა მიუღებელია! ვგმობ დღეს განვითარებულ მოვლენებს და ძალადობის ნებისმიერი სახითა და ფორმით გამოვლინებას“, *საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jJbPL8, განახლებულია: 09.11.2021.

[145] „კატეგორიულად მიუღებელია ის ძალადობა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ“ - კახა კალაძე“, *Pia.ge-ის ვებგვერდი*, 08.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F2RHLB, განახლებულია: 09.11.2021.

[146] „ირაკლი ღარიბაშვილი - ჟურნალისტებზე ძალადობა არის მიუღებელი და რა თქმა უნდა, ეს არის

აშვილმაც.[147] ამ უკანასკნელმა ყურადღება გაამახვილა ჟურნალისტებზე მასობრივი ძალადობის მოულოდნელობაზე,[148] რაზეც ასევე მიუთითებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო 5 და 6 ივლისს პოლიციის რეაგირებასთან დაკავშირებით 7 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში.[149] მასში ასევე აღნიშნულია: *„[..] ანალიზის საფუძველზე, მრავალრიცხოვანი ღონისძიებების და მარშის მიმდინარეობისას* ***გარდაუვალი იქნებოდა ფართომასშტაბიანი დაპირისპირება,*** *ასევე მოხდებოდა ინდივიდუალური ადევნებები და ანგარიშსწორების ფაქტები. [..]"; „[..] ღია და ოპერატიული წყაროებით მოპოვებული ინფორმაციით, ხდებოდა მოქალაქეების დიდი რაოდენობის მობილიზება, რომლებიც გეგმავდნენ კონტრაქციის ჩატარებას არაერთ ლოკაციაზე [..]".*[150] მიუხედავად ამისა, შსს-მ აქცენტი გააკეთა დაპირისპირების მოულოდნელობაზეც: „[..] *რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს,* ***მოულოდნელად,*** *„ღირსების მარშის" მონწინააღმდეგე ჯგუფების წევრები გახდნენ აგრესიულები და დაიწყეს ძალადობრივი ქმედებები [..]"; „[..] პარალელურად, აქციის მონაწილეების ნაწილი პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან* ***მოულოდნელად*** *დაიძრა ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე მოძრაობა „სირცხვილიას" ოფისთან, რომელიც რამდენიმე მეტრშია პარლამენტის შენობიდან [..]".*[151] განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ 5 ივლისს, დილის საათებიდან, საპოლიციო დანაყოფები, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მობილიზებულნი იყვნენ რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ტერიტორიაზე. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული მითითებების შესაბამისად, ღონისძიებაში ჩაერთვებოდნენ სპეციალური დანიშნულების სარეზერვო ძალები.[152] განცხადების თანახმად, 5 ივლისის აქციებისთვის მობილიზებული იყო, ჯამში, 3200-მდე პოლიციის თანამშრომელი,[153] თუმცა არ არის დაკონკრეტებული მათი გადანაწილება ლოკაციებისა და საათების მიხედვით. ამ საკითხების დაზუსტების მიზნით, ორგანიზაციამ ორჯერ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. თუმცა, მას დამატებითი ინფორმაცია არ მოუწოდებია და წერილში მხოლოდ საჯაროდ გავრცელებულ განცხადებაზე მიუთითა.[154]

საყურადღებოა სახელმწიფოს წარმომადგენლების პოზიციები და დამოკიდებულებები 5-6 ივლისის მოვლენების შემდეგაც, რამაც დამატებით ხელი შეუწყო მედიის მიმართ აგრესიის გაღვივებას. 2021 წლის 22 ივლისს პირველმა ვიცეპრემიერმა, საქართველოს კულტურის მინისტრმა „მთავარი არხის" ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა და მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას არ აძლევდა.[155] 2021 წლის 23 ივლისს კი გავრცელდა პრემიერ-მინისტრის კომენტარი, რომელშიც იგი ჟურნალისტებს „მოძალადეებს" და „პარტიულ აქტივისტებს" უწოდებდა.[156]

დასაგმობი", *საქართველოს მთავრობის ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BP0nUA, განახლებულია: 09.11.2021.

[147] „შალვა პაპუაშვილი - მოულოდნელი იყო, რომ ჟურნალისტებზე ასეთი მასობრივი ძალადობა მოხდებოდა", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WZ8uPm, განახლებულია: 09.11.2021.

[148] *იქვე*.

[149] „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება", *შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი*, 07.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yO2Xbd, განახლებულია: 09.11.2021.

[150] *იქვე*.

[151] *იქვე*.

[152] *იქვე*.

[153] *იქვე*.

[154] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 29 ივლისის №MIA 5 21 01984519 წერილი.

[155] „რადიო თავისუფლება" [Facebook-გვერდი], 22.07.2021, „თეა წულუკიანმა „ქართუს" მიერ რეაბილიტირებული თეატრის გახსნის ღონისძიებაზე „მთავარი არხის" ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Y5R7gc, განახლებულია: 09.11.2021.

[156] „თქვენ ხართ ჩვეულებრივი მოძალადეები – ღარიბაშვილი ჟურნალისტებს", *„რეგინფოს" ვებგვერდი*, 23.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kYbAN0, განახლებულია: 09.11.2021.

რელიგიური ორგანიზაციების გამოხმაურება

საქართველოს საპატრიარქომ დაგმო 5 ივლისს მედიაზე ძალადობის ფაქტები. მან მრევლს სიმშვიდისა და აგრესიული ქმედებებისგან გამიჯვნისკენ მოუწოდა.[157] ამასთან, საგულისხმოა საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ 22 ივლისს გავრცელებული განცხადება, რომელშიც მწვავედ იყვნენ გაკრიტიკებულნი მედიის წარმომადგენლები და, პრაქტიკულად, შეიცავდა მოწოდებას სასულიერო პირებისთვის, შეეწყვიტათ კომუნიკაცია კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიებთან.[158]

სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურება

5 ივლისის მოვლენებს გამოეხმაურნენ სახალხო დამცველი[159] და არასამთავრობო ორგანიზაციები - როგორც კოალიციის ფარგლებში,[160] ისე დამოუკიდებლად.[161] საყურადღებოა, რომ ამ განცხადებებში ყველა საგანგაშოდ მიიჩნევს მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის შემთხვევებს, ლგბტქ+ პირების შეკრების თავისუფლების რეალიზების შეუძლებლობას და ძირითად პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებს.

ამასთან, ომბუდსმენმა დამატებით მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ყველა საჯარო პირს, გაეკეთებინათ სათანადო განცხადებები, რათა ამით ძალადობა არ წაეხალისებინათ.[162] სახალხო დამცველმა აგრეთვე მიუთითა წარსულ გამოცდილებაზე, როდესაც სხვა აქციების შემთხვევაში დაპირისპი-

---

[157] „საქართველოს საპატრიარქოს განცხადება“, *საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://patriarchate.ge/news/2780, განახლებულია: 09.11.2021.

[158] „საქართველოს საპატრიარქოს განცხადება“, *საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდი*, 22.07.2021, ხელმისაწვდომია: https://patriarchate.ge/news/2797, განახლებულია: 09.11.2021.

[159] „სახალხო დამცველის განცხადება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენების შესახებ“, *საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DXJiK2, განახლებულია: 09.11.2021.

[160] „შსს-მ უნდა დაიცვას „ღირსების მარშის“ მონაწილეთა უსაფრთხოება“, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი*, 01.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CkjExk, განახლებულია: 09.11.2021; „5 ივლისის ძალადობის უმძიმესი შედეგების გამო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თანამდებობა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს“, *პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის ვებგვერდი*, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oc4LI3, განახლებულია: 09.11.2021.

[161] „საიას განცხადება 5 ივლისს განვითარებულ ძალადობრივ ქმედებებზე“, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Css8Ct, განახლებულია: 09.11.2021; „მთავრობის პოპულიზმი პრაიდთან დაკავშირებით ანტიკონსტიტუციური და ანტისოციალურია“, *სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XEf5iw, განახლებულია: 09.11.2021; „მიმდინარე ძალადობრივი პროცესები მთლიანად საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა“, *საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nPIqkM, განახლებულია: 09.11.2021; „ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები უკიდურესად შემაშფოთებელია“, *საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CtgB61, განახლებულია: 09.11.2021; „სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვას“, *სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zp9WrB, განახლებულია: 09.11.2021; „ხელისუფლების უმოქმედობა ახალისებს აგრესიული ჯგუფების ძალადობას მედიის წინააღმდეგ“, *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kn7ddL, განახლებულია: 09.11.2021.

[162] „ნინო ლომჯარია - დღეს არათუ „პრაიდის“ ჩატარება-არჩატარებაზე, შეკრების ან გამოხატვის უფლების რეალიზაციაზე იყო საუბარი, არამედ ელემენტარული სამოქალაქო უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38KfnXh, განახლებულია: 09.11.2021.

რების საშიშროებისას პოლიცია განსხვავებულად მოქმედებდა და დგამდა პრევენციულ ნაბიჯებს, რაც, მისი შეფასებით, 5 ივლისს არ მომხდარა.[163] კერძოდ, *„მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური ძალადობრივი მოქმედებები წინასწარ იყო განჭვრეტადი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაატარა ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები ძალადობის თავიდან არიდების მიზნით, ხოლო დანაშაულებრივ ფაქტებზე დღემდე არ მოახდინა სრულფასოვანი და ადეკვატური რეაგირება“*.[164]

საერთაშორისო გამოხმაურება

5 ივლისს თბილისში განხორციელებული ძალადობა დაგმეს საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმაც და ხელისუფლებას სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდეს. განსაკუთრებით საყურადღებოა **ავსტრიის, ბულგარეთის, ესტონეთის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, საქართველოში გაეროს სისტემის, შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის** ერთობლივი გამოხმაურება.[165] მათ ასევე უარყოფითად შეაფასეს ის ფაქტი, რომ ხელისუფლების ლიდერებმა და სასულიერო პირებმა არ დაგმეს ძალადობის შემთხვევები.[166] ასევე საგულისხმოა საქართველოში აშშ-ს ელჩის განცხადებაც,[167] რომ მათ ვერ დაინახეს პრემიერ-მინისტრის წამყვანი როლი სიტუაციის განმუხტვასა და აგრესიის შეკავებაში.[168]

განვითარებულ მოვლენებს ასევე გამოეხმაურნენ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი,[169] ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი,[170] ეუთო/ოდირი,[171] „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა",[172] Amnesty International-ის გენერალური

---

[163] „ნინო ლომჯარია - ჩვენ გვინახავს, როგორ მოქმედებს პოლიცია სხვა აქციების შემთხვევაში, როცა მიიჩნევს, რომ ძალადობას აქვს ადგილი - დღეს ჩვენ ვერ დავინახეთ პრევენციულად გადადგმული ნაბიჯები“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3n7dZGn, განახლებულია: 09.11.2021.

[164] „სახალხო დამცველის განცხადება 5-6 ივლისის მოვლენების ორგანიზატორთა ქმედებების გამოძიებასთან დაკავშირებით“, *საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი*, 12.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DXKH3g, განახლებულია: 09.11.2021.

[165] „ერთობლივი განცხადება თბილისში განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით“, *საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებგვერდი*, 07.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37YrjEf, განახლებულია: 09.11.2021.

[166] *იქვე*.

[167] „დეგნანი 5 ივლისზე: სამწუხაროა, რომ ვერ ვნახეთ პრემიერის წამყვანი როლი, განმუხტოს ვითარება“, *ფორმულას ვებგვერდი*, 10.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tVgCwu, განახლებულია: 09.11.2021.

[168] *იქვე*.

[169] „გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი - მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, დაიცვას მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები და გამოიძიოს LGBTI პირების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი და დისკრიმინაციული ქმედებები“, *„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Yy7ToM, განახლებულია: 09.11.2021.

[170] Commissioner for Human Rights, "The violence v activists &journalists in #TbilisiPride21 is a woeful illustration of repeated threats #LGBTI ppl face in #Georgia. Authorities have the #humanrights obligations to uphold free expression & assembly, ensure demonstrators& journalists' safety & punish the perp of attacks", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wtg6qS, განახლებულია: 09.11.2021.

[171] „OSCE Media Freedom Representative denounces violence against journalists in Tbilisi, calls on authorities to hold perpetrators responsible“, *website of OSCE*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qlaFsV, განახლებულია: 09.11.2021.

[172] „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული

დირექტორი,[173] Human Rights Watch-ის ასოცირებული დირექტორი,[174] ევროპარლამენტარები ვიოლა ფონ კრამონი[175] და პეტრას აუსტრევიჩუსი,[176] ბრიტანელი პარლამენტარი მარტინ დოხერტი-ჰიუზი,[177] ნიდერლანდელი დეპუტატი რუბენ ბრეკელმანსი,[178] ჩეხეთის ელჩი[179] და სხვა. თავიანთ განცხადებებში მათ ასევე დაგმეს ძალადობის ფაქტები.

პლატფორმა" - მსგავსი მასშტაბის აგრესია, განხორციელებული მედიის მიმართ, მეტყველებს ხელისუფლებისუუნარობაზეანმათი წარმომადგენლების ლოიალობაზეექსტრემისტულად განწყობილი მოძალადე ჯგუფების მიმართ", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2W3YRyE, განახლებულია: 09.11.2021.

[173] Callamard, Agnes, „Absolutely revolted by violence against #TbilisiPride and police inaction when these gangs stormed Tbilisi Pride Office. #Georgia has #humanrights obligations to protect #LGBTI freedom of expression and assembly. They must investigate and prosecute those behind this violence.", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kk5pSu, განახლებულია: 09.11.2021.

[174] Gogia, Giorgi, "Violent hate groups emboldened by Church & officials attack journalist reporting on counter rally against planned Pride March in #Georgia. At least 20 injured. State is failing miserably to protect them & instead calls on Pride organizers to cancel. Shame!", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bTiU7h, განახლებულია: 09.11.2021; Gogia, Giorgi, "@TbilisiPride had to cancel today's planned March of Dignity after the state made it clear that they are not willing to provide security & ensure their safety, as violent ultra-right groups roamed the city center, attacking journalists & pride office. Big step backward! Sad!", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3n6w9YJ, განახლებულია: 09.11.2021.

[175] Von Cramon, Viola, „Constitution of #Georgia guarantees the right of peaceful assembly & expression to everyone & it is the obligation of the state to protect these freedoms. When a violent group beats up journalists & #LGBT+ while ɢᴇGov watches, it is a dangerous sign of crumbling rule of law.", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3D2PgYS, განახლებულია: 09.11.2021.

[176] Austrevicius, Petras, "The Government of #Georgia has clearly failed to live up to it's promises of diversity and tolerance . Violence is a bad sign of state of democratic freedoms. Tbilisi Pride march cancelled after far-right attack on headquarters", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mWorAc, განახლებულია: 09.11.2021.

[177] Docherty-Hughes, Martin, "… democracy requires #diversity to thrive, this is nothing other than the tyranny of the mob #Solidarity with @TbilisiPride", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30fRuGn, განახლებულია: 09.11.2021; Docherty-Hughes, Martin, "Liberty comes at a cost...the defence of principles which uphold freedom; the tyranny of the mob unleashed in #Georgia on @TbilisiPride is fundamentally at odds with the statement below", *Twitter*, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wwDeVj, განახლებულია: 09.11.2021.

[178] Brekelmans, Ruben, "What a sad day! The #LGBT #pride in #Tbilisi is canceled. Diplomatic pressure on the authorities was not enough to secure a safe pride. The statement below by 20 embassies in #Georgia doesn't make a difference anymore. Too little too late! @TbilisiPride", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/rubenbrekelmans/status/1412059463427690503, განახლებულია: 09.11.2021.

[179] Mikyska, Petr, "Shocked by scenes of violence, attacks on journalists and NGOs offices in Tbilisi. Perpetrators must be brought to justice immediately, Constitutional rights and freedoms restored. Democracy in Georgia is at stake and all actors incl Government must act with full responsibility.", *Twitter*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/mikyska_petr/status/1412157904896004099, განახლებულია: 09.11.2021.

სახელმწიფოს ქმედებების შეფასება

სახელმწიფოს ზოგადი პოზიტიური ვალდებულებები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით

შეკრების თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციით[180] და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით[181] გარანტირებულია შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. ეს კი მოიცავს ნებისმიერი სახის შეხვედრას, საჯაროს თუ კერძოს, მათ შორის, დემონსტრაციებს, მსვლელობებსა და აღლუმებს.[182] ის ეხება ყველას დისკრიმინაციის გარეშე და არის აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის საფუძველი.[183]

შეკრების თავისუფლება არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი არ შეუშალოს მშვიდობიანი შეკრების პროცესს, არამედ კონსტიტუცია ქმნის თავად ამ პროცესის მშვიდობიანად წარმართვის გარანტიას.[184] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მშვიდობიანი შეკრების უფლების ეფექტიანად განხორციელება არ შეიძლება მხოლოდ მოიაზრებდეს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ ჩაერიოს ამ უფლების რეალიზებაში.[185] შეკრების მონაწილეთა მიერ მშვიდობიანი გამოხატვის, ასევე მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს აუცილებელი და სათანადო ზომები.[186]

ეს პოზიტიური ვალდებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ არაპოპულარული შეხედულებები ან მიეკუთვნებიან უმცირესობებს.[187] საგულისხმოა, რომ სახელმწიფოები ხშირად ცდილობენ, გამოიყენონ „საზოგადოებრივი მორალი“, „ბავშვთა უფლებების დაცვა“ და „საზოგადოებრივი წესრიგი“, რათა გაამართლონ შეზღუდვები იმ პირებისა და ორგანიზაციების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებზე, რომლებიც აორგანიზებენ სხვადასხვა ღონისძიებას ლგბტქ+ ადამიანების უფლებათა დასაცავად. თუმცა, მსგავსი გამართლებები უარყვეს როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.[188] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებების ადვოკატირების მიზნით შეკრების აკრძალვა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და არღვევდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლს.[189] ამ საკითხთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს,

---

[180] საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლი.

[181] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი.

[182] Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], App no. 37553/05, (ECtHR. 2015), §91; Djavit An v. Turkey, App no. 20652/92 (ECtHR. 2003), §56.

[183] *იქვე*.

[184] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §8. Öllinger v. Austria, App no. 76900/01, (ECtHR. 2006), §35.

[185] Plattform “Ärzte für das Leben” v. Austria, App no. 10126/82, (ECtHR. 1988), §34.

[186] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §8. Giuliani and Gaggio v. Italy, App no. 23458/02, (ECtHR. 2009), §251; The United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria, App nos. 29221/95 and 29225/95, (ECtHR 2005), §115.

[187] Bączkowski and Others v. Poland, App no. 1543/06, (ECtHR 2007), §64.

[188] Human Rights Committee, Concluding Observations on Georgia (CCPR/C/GEO/ CO/4), 2014, §8; Nikolai Alekseev v. Russian Federation, Communication No. 1873/2009 (CCPR/C/109/D/1873/2009), 2013.

[189] Nikolai Alekseev v. Russian Federation, Communication No. 1873/2009 (CCPR/C/109/D/1873/2009), 2013, §9,6.

რომ პლურალიზმი და დემოკრატია მრავალფეროვნების ჭეშმარიტ აღიარებასა და პატივისცემას ეფუძნება.[190] განსხვავებული იდენტობის პირებისა და ჯგუფების ჰარმონიული ინტერაქცია აუცილებელია საზოგადოებრივი ერთობის მისაღწევად.[191] ამ კონტექსტში, სასამართლოს განმარტებით, დემოკრატია ყოველთვის უბრალოდ უმრავლესობის უპირატესობას არ გულისხმობს: აუცილებელია ბალანსი, რომელიც უმცირესობისადმი სამართლიან, სათანადო მოპყრობას უზრუნველყოფს და თავიდან ირიდებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას.[192]

მშვიდობიანმა დემონსტრაციამ, შესაძლებელია, გააღიზიანოს ან გაანაწყენოს ადამიანები, რომლებიც მათ იდეებსა და განცხადებებს ეწინააღმდეგებიან.[193] ნებისმიერ შემთხვევაში მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ოპონენტებისგან ფიზიკური ანგარიშსწორების შიშის გარეშე შეიკრიბონ.[194] ასეთ შიშს შეუძლია, შეაკავოს გაერთიანებები ან საერთო იდეების და ინტერესების მხარდამჭერი ჯგუფები, ღიად გამოხატონ თავიანთი აზრი საზოგადოებაზე გავლენის მქონე ძალიან საკამათო საკითხებზე.[195] დემოკრატიებში კონტრდემონსტრაცია არ შეიძლება გადაიზარდოს დემონსტრაციის უფლების რეალიზების შეფერხებაში.[196]

აგრეთვე, ხაზგასასმელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლების უმოქმედობა ხელს უშლის პირებს და ჯგუფებს გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების რეალიზებაში, რაც ასევე ამ უფლებათა დარღვევაა.[197] შესაბამისად, ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, ძალადობისგან დაიცვას როგორც ლგბტქ+ დემონსტრაციის მონაწილეები, ასევე სხვა პირები, რომლებიც მათ მხარს უჭერენ.[198]

გამოხატვისა და მედიის თავისუფლება

კონსტიტუციით ასევე დაცულია აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. შესაბამისად, დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.[199] აგრეთვე, გარანტირებულია ყოველი ადამიანის უფლება, დაუბრკოლებლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.[200] გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი ასპექტია ჟურნალისტური საქმიანობისთვის უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს შექმნა.[201] ამის გარეშე შეუძლებელია პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება და დემოკრატიული ღირებულებების რეალიზება.[202] მედიის თავისუფლება მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას მისი წარმომადგენლები საზოგადოების სხვა წევრე-

---

[190] Gorzelik and Others v. Poland [GC], App no. 44158/98, (ECtHR 2004), §92.

[191] *იქვე*.

[192] Young, James and Webster v. the United Kingdom, 1981, სერია „A", №44, გვ. 25, §63; Sørensen and Rasmussen v. Denmark [GC], App nos. 52562/99 and 52620/99, (ECtHR 2006), §58.

[193] Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria, §32. Identoba and others v. Goergia, App no. 73235/12, (ECtHR 2015), §95.

[194] *იქვე*.

[195] *იქვე*.

[196] *იქვე*.

[197] UN Human Rights Council, Report of the Secretary-General on Cooperation with the United Nations, its representatives and mechanisms in the field of human rights (A/HRC/39/41), 2018.

[198] Nikolai Alekseev v. Russian Federation, Communication No. 1873/2009 (CCPR/C/109/D/1873/2009), 2013, §9,6.

[199] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[200] *იქვე*, მე-2 პუნქტი.

[201] Lingens v. Austria, 1986, Series A no. 103, §41; Fressoz and Roire v. France [GC], App no. 29183/95, (ECtHR 1999), §45.

[202] The Observer and Guardian v. the United Kingdom, Series A no. 216, (ECtHR 1991), §59; Lentia and Others v. Austria, Series A no. 276, (ECtHR 1993), §38.

ბის მხრიდან გამოვლენილი ძალადობისგან და უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად.[203]

სათანადო პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება

სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება

ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, როდესაც ჰომოფობიური ჯგუფების მხრიდან მოსალოდნელია აგრესია და არსებობს დაპირისპირების საშიშროება, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ერთ-ერთი ასპექტი არის ყველა შესაძლო პრევენციული ზომის მიღება, რაც, მათ შორის, გულისხმობს საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირებას.[204]

პრაიდის კვირეულამდე, ასევე მის განმავლობაში, ხელისუფლების წარმომადგენლები თითქმის ყოველდღიურად აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები დაცულია და შეკრების თავისუფლება არავის ეზღუდება. თუმცა, პარალელურად, ისმოდა „რჩევები", რომ პრაიდის მონაწილეებს მხედველობაში უნდა მიეღოთ უმრავლესობის მოსაზრებები და „პროვოკაციული ნაბიჯები" არ გადაედგათ. გარდა ამისა, კონტრდემონსტრაციასთან შეტაკების მხოლოდ რისკის არსებობა არასაკმარისია ღონისძიების ასაკრძალად.[205] მართალია, შესაბამის ორგანოებს პირდაპირ არ აუკრძალავთ „ღირსების მარში", თუმცა სახელმწიფო მეთაურისა და უწყებების მოწოდებები ორგანიზატორების მიმართ დაპირისპირების საშიშროებიდან გამომდინარე ამ ღონისძიების ჩატარების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით[206] პრაქტიკულად მსგავსი ქმედების ტოლფასი აღმოჩნდა. პასუხისმგებლობის მშვიდობიან დემონსტრანტებზე გადატანამ კი ისედაც დაძაბული ფონი დამატებით გაამძაფრა.

სათანადო რაოდენობის საპოლიციო ძალების მობილიზება

სახელმწიფოს წარმომადგენლები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ პრევენცია ან აღკვეთონ ძალადობა, როდესაც იციან, ან უნდა სცოდნოდათ მოქალაქეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის მიმართ მესამე პირების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებებით გამოწვეული რეალური რისკისა და საფრთხის შესახებ.[207] ამის მისაღწევად, სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა სათანადო რაოდენობის საპოლიციო ძალის მობილიზება ან პირების უსაფრთხო ადგილას გადაყვანა.[208] აგრეთვე, საგულისხმოა, რომ ეს ზომები უნდა იყოს ეფექტიანი და დროული.[209]

საქმეში „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგა-

---

[203] Dink v. Turkey, App no. 2668/07, (ECtHR 2010), §137; X and Y v. the Netherlands judgment of 26 March, Series A no. 91, 1985, §23). Özgür Gündem v. Turkey, App no. 23144/93, (ECtHR 2000), §42-43.

[204] Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria, §42. Identoba and others v. Goergia, §99.

[205] Faber v. Hungary, App no. 40721/08, (ECtHR 2012) §40, §43.

[206] იხილეთ თავები „პრაიდის კვირეულამდე არსებული მდგომარეობა" და „პრაიდის კვირეული".

[207] Council of Europe, Recommendation CM/Rec(2016)4[1] of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors, 2016, "Protection", §9.

[208] *იქვე*.

[209] *იქვე*.

დოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ მოსალოდნელი დაძაბულობის რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ მსვლელობასთან.[210] შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების თაობაზე.[211] ქუჩაში შეტაკებების მოსალოდნელობის გათვალისწინებით, შიდასახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედულ ნაბიჯად ჩაითვლებოდა ისეთი ქმედება, როდესაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მეტი საპოლიციო ძალის, მაგალითად, სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზება.[212]

5 ივლისს, არათუ მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულება ქმნიდა სავარაუდო დაპირისპირების მოლოდინს, არამედ კონტრაქციის ორგანიზატორთა განცხადებები მის ძალადობრივ მიზანზე მიუთითებდა და საფრთხეს უქმნიდა მარშის მონაწილეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[213] წინასწარ იყო ცნობილი მათი მხრიდან ძალადობის რისკების შესახებ.[214] გარდა ამისა, ეს პირები აგრესიული განწყობით და განცხადებებით გამოირჩეოდნენ მედიის წარმომადგენლების მიმართაც.[215] შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ სავარაუდო დაპირისპირების თაობაზე, ვინაიდან ჰომოფობიური ჯგუფების ამგვარი განცხადებები იყო მრავალჯერადი და საჯარო.[216] მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ არ მიიღო შესაბამისი პრევენციული ზომები ამ ჯგუფების შესაჩერებლად და აქციის ორგანიზატორების, ასევე, მედიის დასაცავად.[217] მათ დროულად არ უზრუნველყვეს შესაბამის ლოკაციებზე სათანადო რაოდენობის საპოლიციო ძალების მობილიზება.[218]

ძალადობრივი შემთხვევების დროულად და ეფექტიანად აღკვეთა

გარდა პრევენციული ღონისძიებებისა, სახელმწიფო ვალდებულია, ძალადობისგან დაიცვას დემონსტრაციის მონაწილეები და სხვა ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ ლგბტქ+ პირთა უფლებებს,[219] აგრეთვე, მედიის წარმომადგენლები.[220] საგულისხმოა, რომ ამგვარ ფაქტებზე რეაგირება ასევე უნდა იყოს ეფექტიანი და დროული.[221]

საქმეში „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მარშის მონაწილე-

[210] Plattform “Ärzte für das Leben” v. Austria, §§37-38. Identoba and others v. Goergia, §99.
[211] *იქვე*.
[212] *იქვე*.
[213] იხილეთ თავი „პრაიდის კვირეული“, „4 ივლისი - რადიკალური ჯგუფების მობილიზება და ძალადობრივი განცხადებები“, „5 ივლისი - „ღირსების მარშის“ გაუქმება და მასშტაბური თავდასხმა მედიის წარმომადგენლებზე“.
[214] *იქვე*.
[215] *იქვე*.
[216] *იქვე*.
[217] იხილეთ თავი „პრაიდის კვირეული“, „5 ივლისი - „ღირსების მარშის“ გაუქმება და მასშტაბური თავდასხმა მედიის წარმომადგენლებზე“.
[218] *იქვე*.
[219] Nikolai Alekseev v. Russian Federation, Communication No. 1873/2009 (CCPR/C/109/D/1873/2009), 2013, §9,6.
[220] Dink v. Turkey, §137; X and Y v. the Netherlands, §23; Özgür Gündem v. Turkey, §§42-43.
[221] Council of Europe, Recommendation CM/Rec(2016)4[1] of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors, 2016, “Protection”, §9.

ების სათანადოდ დაცვა თავდასხმებისგან.[222] იმის გათვალისწინებით, რომ მარშის ორგანიზატორებმა სავარაუდო ძალადობის შესახებ პოლიცია გააფრთხილეს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაბამისი ვალდებულება, დემონსტრაციის მონაწილეები დაეცვათ.[223] იმ ფაქტმა, რომ პოლიციის მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელი იყო შემთხვევის ადგილზე და მათ არ მოუხდენიათ რეაგირება სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევებზე, ხელი შეუწყო სიტყვიერი დაპირისპირების გარდაქმნას ფიზიკურ ძალადობად.[224]

5 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ უზრუნველყო პროცესების ეფექტიანად მართვა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის წინასწარ იყო ცნობილი ძალადობრივი ჯგუფების შეკრების, ასევე მათგან მომდინარე რისკების შესახებ. შედეგად, ამან დამატებით შეუწყო ხელი პროცესების გამწვავებას. საპოლიციო ძალები მიზანმიმართული ძალადობის ფაქტებს უმოქმედობით ან დაგვიანებული, ფორმალური რეაგირებით პასუხობდნენ და ვერ ახერხებდნენ წესრიგის აღდგენას.[225] ადგილზე მყოფი სამართალდამცავების მხრიდან მიღებული ზომები არ იყო საკმარისი ძალადობის შესაჩერებლად.[226] ნაცვლად სამართალდამრღვევთა დაკავებისა, პოლიცია მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებდა, ტერიტორიას გარიდებოდნენ, რაც აფერხებდა ჟურნალისტების მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებას.[227] გარდა ამისა, სამართალდამცავებმა ხელი არ შეუშალეს აგრესიულ ჯგუფებს პარლამენტის წინ მდებარე კარვების უკანონოდ დაშლაში, ასევე ვერ დაიცვეს მათგან „სირცხვილიას" და „თბილისი პრაიდის" ოფისები.[228]

შესაბამისად, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ მიიღო სათანადო ზომები ჟურნალისტების დასაცავად. წესრიგის დასამყარებლად განხორციელებული ქმედებები იყო ფორმალური, რის გამოც მედიის 50-ზე მეტი წარმომადგენელი ორგანიზებული ჯგუფური ძალადობის მსხვერპლი გახდა,[229] ხოლო თბილისი პრაიდი იძულებული იყო, დაგეგმილი ღონისძიება გაეუქმებინა. შედეგად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ლგბტქ+ პირებისა და მათი მხარდამჭერების მიერ შეკრების თავისუფლებით, ხოლო მედიის წარმომადგენლების მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა.

კონტრდემონსტრაციების მართვა

სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფის შეკრების თავისუფლება და უზრუნველყოს ყველაზე ნაკლებად მზღუდავი ზომების მიღება, რათა შესაძლებელი იყოს ორივე აქციის ჩატარება.[230] იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე შეკრების მონაწილეთა ქმედებები სცდება კანონს, სახელმწიფო ვალდებულია, კანონიერი დემონსტრაცია დაიცვას კონტრდემონსტრაციისგან.[231] ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ადეკვატური ზომები მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების მიმართ ძალადობრივი ქმედებების პრევენციისთვის ან, სულ მცირე,

[222] Identoba and others v. Goergia, §73.
[223] *იქვე*.
[224] *იქვე*.
[225] იხილეთ თავი „პრაიდის კვირეული", „5 ივლისი - „ღირსების მარშის" გაუქმება და მასშტაბური თავდასხმა მედიის წარმომადგენლებზე".
[226] *იქვე*.
[227] *იქვე*.
[228] *იქვე*.
[229] „ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ", *„მედიაჩეკერის" ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bSO2DI, განახლებულია: 09.11.2021.
[230] Faber v. Hungary, §§ 40, 43.
[231] The United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria, §115.

შეზღუდოს მათი მასშტაბი.[232] სამართალდამცავებმა სათანადო რეაგირება უნდა მოახდინონ სიძულვილის ენის ნებისმიერ გამოვლინებაზე, როგორიცაა ჰომოფობიური მოწოდებები და განცხადებები კონტრდემონსტრაციის წარმომადგენლების მხრიდან.[233] სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს მსგავსი ღონისძიებების ჩატარების წარსული გამოცდილება და კონტრაქციის გავლენა მშვიდობიან შეკრებაზე, როდესაც არსებობს ამ ორ ჯგუფს შორის ძალადობრივი დაპირისპირების საფრთხე.[234]

6 ივლისს რუსთაველზე კონტრაქციების მიმდინარეობისას, 5 ივლისისგან განსხვავებით, მეტი რაოდენობის პოლიციელი იყო მობილიზებული. აგრეთვე, აქციის მშვიდობიანი მონაწილეების ადგილიდან განრიდებასთან ერთად, სამართალდამცავები აკავებდნენ აგრესიულ პირებსაც. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს არ მიუღია ზომები კონკრეტული ლოკაციების გამოყოფის, დაცვის ან აქციისა და კონტრაქციის მონაწილეთა დაშორიშორების მიზნით.[235] დღის განმავლობაში კონტრდემონსტრაციის მხარდამჭერები ქაოსურად მოძრაობდნენ რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე,[236] ისროდნენ სხვადასხვა საგანს, თავს ესხმოდნენ მედიის წარმომადგენლებს და ა.შ.[237] შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონტრაქციების სათანადოდ მართვა.

---

[232] *იქვე*.

[233] Berkman v. Russia, App no. 46712/15, (ECtHR 2020), §56.

[234] Faber v. Hungary, §44.

[235] იხილეთ თავი „პრაიდის კვირეული“, 6 ივლისი - „მდუმარე აქცია“ და რადიკალური ჯგუფების „კონტრაქცია“.

[236] *იქვე*.

[237] *იქვე*.

5 ივლისის ფაქტებზე დაწყებული გამოძიება

დანაშაულზე მყისიერი რეაგირება მნიშვნელოვანია მისი აღკვეთისა და პრევენციისთვის. ინფორმაციის მიღების შემდეგ გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან, დაიწყონ გამოძიება.[238] დანაშაულია სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.[239] გამოძიების დაწყების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირისთვის დანაშაულის შესახებ შეიძლება სხვადასხვა წყაროდან გახდეს ცნობილი, მათ შორის მასმედიაში გამოქვეყნების გზით.[240] დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის მიღება იმპერატიულად წარმოშობს გამოძიების დაწყების ვალდებულებას. გამომძიებელმა გამოძიება უნდა აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად,[241] გამოკვეთოს დანაშაულის როგორც ამსრულებელი,[242] ისე თანაამსრულებელი[243] და, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, მისი ორგანიზატორი - პირი, რომელმაც დაგეგმა დანაშაული ან ხელმძღვანელობდა მას, აგრეთვე, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან იყო მისი ხელმძღვანელი.[244] გამოძიების დაწყების შემდეგ გამომძიებელი ვალდებულია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოიპოვოს ინფორმაცია, მისი შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი. ამ მტკიცებულებების საფუძველზე, ბრალდების მხარემ სასამართლოში უნდა დაადასტუროს წარდგენილი ბრალდება, სასამართლომ კი გამოიკვლიოს, ჩაიდინა თუ არა პირმა ესა თუ ის ქმედება, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე შეაფასოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.[245]

გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის, მნიშვნელოვანია, გაირკვეს დანაშაულის სუბიექტი, ნიშანი, მოტივი, მისი ჩადენის მიზანი და ა.შ. რაც, თავის მხრივ, სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში სასჯელი დანიშნოს შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.

გამოძიება ეფექტიანია, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ სტანდარტებს: დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია, დროულია, მიმდინარეობს ზედმიწევნით, მას აწარმოებს კომპეტენტური ორგანო, უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა, ჩართულია დაზარალებული.

კვლევის შემდეგ თავებში შეფასებულია 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება - რამდენად პასუხობს ის ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს და არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს.

„თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ქრონოლოგია

5 ივლისს რუსთაველის გამზირზე შეკრებილმა ძალადობრივმა ჯგუფებმა მედიასაშუალებების წარმომადგენლებზე ფიზიკურად იძალადეს, დააზიანეს მათი კუთვნილი

[238] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100.
[239] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 7(1).
[240] სსსკ-ის მუხლი 101(1).
[241] სსსკ-ის მუხლი 37(2).
[242] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 22.
[243] იქვე, მუხლი 23.
[244] იქვე, მუხლი 24.(1)
[245] სსსკ-ის მუხლი 3 (23).

ტექნიკა.[246] შეიჭრნენ „თბილისი პრაიდის,“[247] ასევე სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისებში და დაარბიეს. „სირცხვილიას“ ოფისთან სასტიკად, ფიზიკურად გაუსწორდნენ ტელეკომპანია პირველის ოპერატორს და ჟურნალისტს, არ მისცეს ჟურნალისტური საქმიანობის საშუალება.[248]

ამ ფაქტებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისსავე დაიწყო გამოძიება ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობის,[249] სხვისი ნივთის დაზიანებისა და განადგურების [250] ფაქტებზე. იმავე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებებით 55 პირის მიმართ გამოვლინდა ძალადობის ფაქტები. აქედან 53 სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენელი იყო.[251]

დაწყებული გამოძიების ფარგლებში, 5-დან 30 ივლისის შუალედში, საქართველოს პროკურატურამ 31 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო დაზარალებულად ცნო 53 პირი,[252] მათ შორის, 42 ჟურნალისტი და ოპერატორი.[253] მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ, 2019 წლის 20-21 ივნისს ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და მათთვის საქმიანობაში ხელშეშლისგან განსხვავებით,[254] 5 ივლისს მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლას უმრავლეს შემთხვევაში სწორი კვალიფიკაცია მიენიჭა. ამ საქმეების გამოძიება კვლავ გრძელდება, თუმცა **<u>ივლისის შემდეგ ჟურნალისტებზე ძალადობის მონაწილე არცერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა აღარ დაწყებულა. საგამოძიებო ორგანოს ასევე არ გამოუკვეთია ორგანიზატორთა ბრალეულობა.</u>**

დიაგრამაზე იხილეთ მუხლები, რომლებითაც „თბილისი პრაიდის” საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაში მონაწილე პირებს ბრალი წარედგინათ.[255]

---

[246] იხილეთ თავი „პრაიდის კვირეული“, „5 ივლისი - „ღირსების მარშის“ გაუქმება და მასშტაბური თავდასხმა მედიის წარმომადგენლებზე“.

[247] *იქვე*.

[248] *იქვე*.

[249] სსკ-ის 154-ე და 126-ე მუხლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, შსს-ს ვებგვერდი, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31IKguM, განახლებულია: 09.11.2021.

[250] შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ktf0GM, განახლებულია: 10.11.2021.

[251] „შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია - 5 ივლისს პოლიციის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევის ფაქტების და მათზე მომხდარი რეაგირების შესახებ“, შსს-ს ვებგვერდი, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31UKTld, განახლებულია: 10.11.2021.

[252] „პროკურატურამ ტელეკომპანია „ფორმულას“ ფოტოგრაფის მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის გამო განხორციელებული დევნის და ძალადობის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა“, საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი, 30.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c3RKe0, განახლებულია: 24.11.2021.

[253] საქართველოს გენერალური პროკურატურის 17.08.2021 წლის №13/50232 წერილი.

[254] იხილეთ საიას კვლევა „დაკარგული თვალის მიღმა“, 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, გვ. 62-67, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ov05gl, განახლებულია: 11.11.2021.

[255] სსკ-ის მუხლები: 154,2 (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი - ძალადობის მუქარით); 156,2ა (დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი - ძალადობით); 225,2 (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა); 160,2ა,3ა (ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ჩადენილი - ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჯგუფურად).

დიაგრამა №1



ამ ეტაპზე ყველა ბრალდებულის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომები მიმდინარეობს.

გამოძიების პროცესში საიას ჩართულობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 5 ივლისიდანვე აქტიურად ჩაერთო „თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე დაზარალებულ პირთა საქმეებში. სხვადასხვა გამოძიების ფარგლებში საია 19 დაზარალებულის ინტერესებს იცავს. აქედან ყველა პირი 5-6 ივლისს გამოიკითხა. დაზარალებულებმა გამოძიებას მიაწოდეს ინფორმაცია მათ მიმართ ჩადენილი ქმედებების შესახებ. პირებს, რომლებიც მიუთითებდნენ ან აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდათ. გამოკითხვიდან მალევე, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საიას დაცვის ქვეშ მყოფ ყველა პირს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა. მათ მონაწილეობა მიიღეს ამოცნობის პროცედურაში და მაქსიმალურად ითანამშრომლეს გამოძიებასთან არსებული ვიდეომასალებისა თუ ინფორმაციის წარდგენის გზით. საიას დაცვის ქვეშ მყოფი 7 პირის მიმართ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე ბრალი 21 პირს წარედგინა. მათგან ყველას შეეფარდა პატიმრობა, რომელიც გადასინჯვის შემდეგაც ძალაში დარჩა. ამ ეტაპზე სასამართლოში მიმდინარეობს არსებითი განხილვის სხდომები.[256] **გამოძიება ცალკე წარმოებად გამოიყო ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორთა და ძალადობაში მონაწილე დაუდგენელ პირთა მიმართ.**

მნიშვნელოვანია, რომ საიას დაცვის ქვეშ მყოფი 12 პირის მიმართ ჩადენილ ძალადობრივ შემთხვევებზე გამოძიება დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ ძალადობის მსხვერპლები და მინიჭებული აქვთ დაზარალებულის სტატუსი, სისხლისსამართლებრივი დევნა არავის მიმართ არ არის დაწყებული.

[256] განხილული ინფორმაცია ეყრდნობა საის წარმომადგენლების და მათთვის გადაცემული სს საქმის მასალების შეფასებას.

საიასთვის მიწოდებული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გამოძიების პროცესში, ძირითადად, ჩატარებულია დაზარალებულ მოწმეთა გამოკითხვები, ამოსაცნობად პირთა წარდგენა, ჩხრეკა-ამოღებები, დადგენილებები ცალკეულ პირთა მიმართ ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, ასევე დათვალიერებულია საჯაროდ გავრცელებული ვიდეოჩანაწერების ნაწყვეტები და სხვა.

საიას აზრით, გამომძიებელი პირველივე გამოკითხვის დროს ინფორმაციის მაქსიმალურად ამომწურავად მიღებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. დამატებითი გამოკითხვა, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ახალი გარემოებების აღმოჩენის ანდა დაზუსტების მიზნით, თუმცა ეს არ უნდა ბადებდეს განცდას, რომ პირველ შემთხვევაში გამოკითხვა არ წარიმართა სრულყოფილად. იმ ინფორმაციის მიუღებლობა, რომლის მოპოვებაც დაზარალებულისგან პირველივე გამოკითხვის დროს იყო შესაძლებელი, აფერხებს გამოძიების მიმდინარეობას და ართმევს მას შესაძლებლობას, დროულად შეაგროვოს სხვა მტკიცებულებები.

საყურადღებოა, რომ 5 ივლისს განვითარებული მოვლენების აღქმას აადვილებდა ვიდეოჩანაწერები. მოვლენების ეპიცენტრში მუშაობდნენ ჟურნალისტები, რომლებიც არსებულ ვითარებას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ. გარდა ამისა, აუდიო-ვიდეო გადაღებას უზრუნველყოფდა შს სამინისტროც. მართალია არასაკმარისი რაოდენობით, თუმცა შემთხვევის ადგილებზე მაინც იყვნენ საპატრულო პოლიციის სამხრე კამერებით აღჭურვილი წარმომადგენლები. შესაბამისად, გამოძიებას ჰქონდა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მიღების შესაძლებლობა და, აგრეთვე, იქ მყოფი პოლიციელების გამოკითხვის საფუძველი იმის დასადგენად, იყო თუ არა მათ სამხრე კამერაზე აღბეჭდილი რაიმე სახის ინფორმაცია, კონკრეტულად რა ფაქტებს შეესწრნენ და შეეძლოთ თუ არა ვინმეს ამოცნობა. მათი გამოკითხვა მნიშვნელოვანია გამოძიების ზედმიწევნით მიმდინარეობის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, ვინაიდან ეს იძლევა მტკიცებულებათა სანდოობის შეფასების მეტ შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიციელებთან დაკავშირებით, სხვა სამოქალაქო პირებისგან განსხვავებით, მაღალი ალბათობით, ნაკლებად არსებობს მოძალადეთა მხრიდან ზემოქმედების რისკი.

საიას მოსაზრებით, გამოძიებას ასევე ყურადღება უნდა გაემახვილებინა ადგილზე მყოფი პოლიციელების მოქმედებისა თუ უმოქმედობის მიზეზებზე. სწორედ ისინი იყვნენ დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები და მათი თვალთახედვის არეალში ხდებოდა არაერთი შესაძლო დანაშაული. **<u>აგრეთვე, საგულისხმოა, რომ გამოძიება ნაკლებად ინტერესდებოდა პოლიციელთა გამოკითხვით. სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევებში საგამოძიებო ჯგუფი არ იყო ორიენტირებული, სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ინფორმაცია პოლიციელთა ჩვენებებით გაემყარებინა.</u>**

მაგალითად, საიას წარმომადგენლის ინფორმაციით, ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში ჩანდა შემთხვევის ადგილას მდგარი რამდენიმე მანქანა, რომლებსაც, შესაძლოა, ჰქონოდათ ვიდეორეგისტრატორი. აგრეთვე, ძალადობის ჩადენის ადგილზე იმყოფებოდა პოლიციელი, რომლის ხედვის არეშიც მოხდა ეს ქმედება. ამის მიუხედავად, დაზარალებულის ადვოკატის მითითებამდე გამოძიებას ამ ფაქტებზე ყურადღება არ გაუმახვილებია და ინფორმაციის მიღებას მხოლოდ დაზარალებულისგან ცდილობდა.

ძალადობრივი ჯგუფის ორგანიზატორების მიმართ მიმდინარე გამოძიება

5 ივლისს „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე მომხდარ ფაქტებზე დაწყებული გამოძიებები ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ორგანიზებული დანაშაულის საქმეებიდან, სადაც შესაძლებელია ძალადობის ორგანიზატორთა გამოვლენა.

საიასთვის გადმოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2021 წლის 10 ივლისს, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ფარგლებში, ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორთა და ხელმძღვანელ პირთა დადგენის მიზნით, კვალიფიკაცია შეიცვალა. ამავე მასალებში მოცემულია 2021 წლის 21 ივლისის დადგენილება კვალიფიკაციის შესახებ. მასში მითითებულია, რომ, ვინაიდან იკვეთება ძალადობისკენ საჯარო მოწოდება, რასაც ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა, მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის საქმეს დაემატოს და გამოძიება გაგრძელდეს სსკ-ის 239[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდება). თუმცა, ხსენებული გამოძიება ბრალდებულ პირთა გამოკვეთის თვალსაზრისით ამ დრომდე არაეფექტიანია.

საყურადღებოა, რომ საჯაროდ გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, კონკრეტული პირი როგორ ახდენს ძალადობრივი ჯგუფების მობილიზებას და მათთან ერთად მიდის სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისში, სადაც სასტიკად გაუსწორდნენ ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორს, დაზიანებები მიაყენეს ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტს და დაარბიეს ოფისი.[257]

ეს პირი 15 ივლისს გამოჰკითხეს, რის შემდეგაც, მედიასთან ინტერვიუს დროს, ის კვლავ ამართლებდა ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ ძალადობას და ჰომოფობიურ განცხადებებს აკეთებდა.[258] ასევე გამოჰკითხეს სხვა ძალადობრივი მოწოდებების ავტორები.[259] ამის შემდეგ კონსტანტინე მორგოშიას,[260] ზურაბ მახარაძისა და გურამ ფალავანდიშვილის სახლებში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება - ჩხრეკა-ამოღება.[261] აგრეთვე, 2021 წლის 3 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა, გამოცემა „პუბლიკის“ მიერ გავრცელებული ვიდეოჩანაწერის[262] საფუძველზე, რომელშიც ზურაბ მახარაძე „თბილისი პრაიდის” საწინააღმდეგოდ გამართულ აქციებთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას ახორციელებს, წინადადებით[263] მიმართა საქართველოს პროკურატურას, ზურაბ მახარაძის მიმართ დაეწყოთ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის ბრალდებით (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით). გარდა ამისა, სახალხო დამცველმა პროკურატურას 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სის-

---

[257] იხილეთ თავი „პრაიდის კვირეული“, „5 ივლისი - „ღირსების მარშის“ გაუქმება და მასშტაბური თავდასხმა მედიის წარმომადგენლებზე“.

[258] „ალტ-ინფოს დამფუძნებლები პოლიციაში გამოჰკითხეს“, *„ფორმულას“ ვებგვერდი,* 15.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C8MBM3, განახლებულია: 11.11.2021.

[259] „თბილისის მთავარ სამმართველოში გურამ ფალავანდიშვილი და „ალტ-ინფოს“ წევრები გამოიკითხნენ“, *„პირველი არხის“ ვებგვერდი,* 16.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C8Pz39, განახლებულია: 11.11.2021.

[260] „უცნობია, იმყოფება თუ არა სახლში კონსტანტინე მორგოშია - მის საცხოვრებელს ახლა პოლიცია ჩხრეკს“, *„რუსთავი 2“-ის ვებგვერდი*, 16.07.2021, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/204706, განახლებულია: 11.11.2021.

[261] *„*გურამ ფალავანდიშვილის და ზურაბ მახარაძის სახლებში ჩხრეკა მიმდინარეობს“, *„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი,* 16.07.2021, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31361384.html, განახლებულია: 11.11.2021.

[262] „5 ივლისის“ ორგანიზება“, „პუბლიკის“ Facebook-გვერდი, 30.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qsDPGH, განახლებულია: 11.11.2021.

[263] „2021 წლის 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტზე მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე სახალხო დამცველის წინადადება“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, 03.09.2021, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021090615354912875.pdf, განახლებულია: 11.11.2021.

ხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზეც მიმართა.[264] ამ წარდგინებას საფუძვლად დაედო გამოცემა „ტაბულას“ მიერ გავრცელებული ვიდეომასალა.[265] შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ სახალხო დამცველის ხსენებულ წინადადებებზე განაცხადა, რომ *„ამ ეტაპზე არ არის საკმარისი მტკიცებულებები საქმეში იმისთვის, რომ პირებს ბრალი წარედგინოთ. ეს არის სახალხო დამცველის შეფასება. ქვეყანაში ბრალდების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს და პროკურორი საქმის მასალებზე დაყრდნობით იღებს ამ გადაწყვეტილებას“.*[266] **<u>თუმცა, პროკურატურას კვლავ არ გამოუკვეთია 5 ივლისს მომხდარი ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორები და პირი/პირები, რომლებიც ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოუწოდებდნენ.</u>**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საიას ადვოკატების მიმართვის შემდეგ თბილისის პროკურატურამ დაზარალებულებს გადასცა მხოლოდ ის მასალები, რომლებშიც უშუალოდ მათ საქმეში ბრალდებულები ფიგურირებენ. ამასთან, დაზარალებულებს არ მიეწოდათ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით მედიიდან ან კერძო პირთაგან გამოთხოვნილი ვიდეომასალების შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს მტკიცებისთვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს და ადასტურებდეს დანაშაულის ჩადენას იმაზე მეტი პირის მხრიდან, ვიდრე სისხლის სამართლის საქმის მასალებშია წარმოდგენილი. მითუმეტეს, რომ საიას დაცვის ქვეშ მყოფი 12 დაზარალებულის მიმართ ძალადობის ჩამდენთა ვინაობა დღემდე არ არის გამოკვეთილი. გარდა ამისა, ორგანიზაციას არ გადმოეცა სისხლის სამართლის საქმის მასალების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორებსა და იმ პირებს, რომლებიც ამგვარი ქმედებისკენ საჯაროდ მოუწოდებდნენ.

საიას აზრით, ამგვარი დამოკიდებულება ეწინააღმდეგება ეფექტიანი გამოძიების სტანდარტს, დაზარალებულს ართმევს სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალებას მის მიმართ ჩადენილ ძალადობაზე სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ და, იმავდროულად, არ ტოვებს შესაძლებლობას, ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მან დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს გამოძიებას ორგანიზატორების შესახებ. ეს კი ჯგუფური ძალადობის ფაქტს წარმოაჩენს დაზარალებულისგან განყენებულ, მისი ინტერესის მიღმა არსებულ საკითხად და უჩენს განცდას, რომ მის მიმართ ჩადენილი ორგანიზებული ძალადობა მას არ ეხება. ეს კი ეწინააღმდეგება დაზარალებულის უფლებას, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მიიღოს მისი ასლები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც:

„დაზარალებული, თავისი ინტერესით, ბუნებრივად არის უფრო მეტი, ვიდრე, უბრალოდ, მოწმე, რაც, თავისთავად, მოითხოვს მის სათანადო და საკმარის ჩართულობას პროცესში. დაზარალებული ინფორმირებული უნდა იყოს საქმის მსვლელობის შესახებ ყველა ეტაპზე, ყველა კატეგორიის დანაშაულზე ჰქონდეს შესაძლებლობა, გაასაჩივროს, მათ შორის, სასამართლოში, დაზარალებულად ცნობასა და დევნის დაწყებაზე უარის თქმის, ისევე როგორც დევნის/გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის

[264] „2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე სახალხო დამცველის წინადადება“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, 03.09.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3quZ6iR, განახლებულია: 11.11.2021.

[265] „დეკანოზი, რომელმაც 5 ივლისს ხალხს ძალადობისკენ მოუწოდა, პოლიციაში იმყოფება“, „ტაბულას“ ვებგვერდი, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3quKwbl, განახლებულია: 11.11.2021.

[266] „ბრალის წარსადგენად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს - მინისტრის მოადგილე“, „ნეტგაზეთის“ ვებგვერდი, 06.09.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/562067/, განახლებულია: 11.11.2021.

გადაწყვეტილება, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. უნდა მიეცეს პროცესზე დასწრების და განცხადებების, მოსაზრებების, მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. დანაშაულის მსხვერპლს, როგორც წესი, აქვს სურვილი და მისწრაფება, სისხლის სამართლის პროცესში მოისმინონ მისი ისტორია, განიხილონ და მხედველობაში მიიღონ მისი პოზიცია. დაზარალებულმა თავი უნდა იგრძნოს დაკმაყოფილებულად, ვინაიდან ის არის დანაშაულის ყველაზე პირდაპირი, უშუალო ობიექტი."[267]

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სახალხო დამცველს, მოთხოვნის მიუხედავად, არ მიეცა 5 ივლისის საქმის მასალების გაცნობის საშუალება.[268] თუმცა, პროკურატურას აქვს არაერთი მაგალითი, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის იმავე ეტაპზე სხვა გახმაურებული საქმის მასალებს სახალხო დამცველი გაეცნო.[269] მათ შორის, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების ფარგლებში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თავად გამოხატა მასში სახალხო დამცველის ჩართვის მზაობა.[270]

ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავას საქმე

ლექსო ლაშქარავა ერთ-ერთი იყო იმ პირთაგან, ვისაც ჰომოფობიურად განწყობილი ძალადობრივი ჯგუფები სასტიკად გაუსწორდნენ. სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას" ოფისთან თავდასხმის შედეგად, მას განუვითარდა ტვინის შერყევა, დაჟეჟილობები და სახის ძვლების მოტეხილობა, რაზეც ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.[271] სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ჯანმრთელობის ეს დაზიანებები ნაკლებად მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება.[272]

პროკურატურამ 5 ივლისს „თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ გამართული აქციის დროს ტელეკომპანია „TV პირველის" ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავას მიმართ ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის, პროფესიული საქმიანობის გამო დევნის, დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობისა და ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ფაქტზე 6 პირს ბრალი წარუდგინა.[273]

---

[267] საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3n4YqPg, განახლებულია: 11.11.2021.

[268] „ომბუდსმენის წარმომადგენელი 5-6 ივლისის დანაშაულზე: თუ მტკიცებულებები საქმეში დევს, საკმარისია, რომ ორგანიზატორებს ბრალი წარედგინოთ", *„რადიო თავისუფლების" ვებგვერდი,* 07.09.2021, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31447595.html, განახლებულია: 11.11.2021.

[269] „პროკურატურა მზადყოფნას გამოთქვამს, სახალხო დამცველს გიორგი შაქარაშვილის საქმის მასალების გაცნობის საშუალება მისცეს", *„ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი*, 13.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wDj4ZS, განახლებულია: 11.11.2021.

[270] „ბრიფინგი საქართველოს პროკურატურაში", *საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი*, 24.06.2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oW9bmB, განახლებულია: 24.11.2021.

[271] „ტვ პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელსაც 5 ივლისს სასტიკად სცემეს, გარდაიცვალა", *„ფორმულას" ვებგვერდი*, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/53377, განახლებულია: 11.11.2021.

[272] სსკ-ის 117-ე მუხლი.

[273] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი - ძალადობის მუქარით), 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ადამიანის დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი - ძალადობით) და 225-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა; „პროკურატურამ ტელეკომპანია „TV პირველის" ოპერატორის ალექსანდრე ლაშქარავას მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის გამო განხორციელებული დევნის და ძალადობის ფაქტზე ბრალდება კიდევ ერთ პირს წარუდგინა", „ტელეკომპანია პირველი", 25.11.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HqkI6j, განახლებულია: 11.11.2021.

2021 წლის 11 ივლისს ლექსო ლაშქარავა საკუთარ სახლში გარდაცვლილი ნახეს.[274] ამ ფაქტზე გამოძიება ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.[275] საია გამოძიების პროცესში ჩაერთო ა. ლაშქარავას ინტერესების დასაცავად. საქმეზე დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ა. ლაშქარავა ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს, რაც ოჯახისთვის დამატებითი სტრესის მიყენების ფორმით მოხდა.[276] საიას ადვოკატი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას დამოუკიდებელ ექსპერტთან ერთად ესწრებოდა.[277]

ა. ლაშქარავას გარდაცვალებიდან მალევე, 11 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაინიშნა არაერთი ბრიფინგი, რომელთა მიზანიც, შსს-ს განცხადებით, იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება. ბრიფინგებზე სამინისტროს წარმომადგენელმა საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია პირთა გამოკითხვების, ასევე ა. ლაშქარავას გადაადგილების მარშრუტის შესახებ, რომლის ამსახველი კადრებიც გამოაქვეყნა.[278]

12 ივლისს შსს-მ ასევე გაასაჯაროვა კერძო ობიექტებისა და „112"-ის ზოგადი ხედვის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დათვალიერების შედეგად ამოღებული ჩანაწერები, რაც, მათივე თქმით, მოწმეთა ჩვენებებითაც დასტურდებოდა. ამავე ბრიფინგზე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ქიმიური დასკვნის თანახმად, გვამიდან აღებულ ნიმუშში აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები: „მორფინი", „კოდეინი", „ტეტრაჰიდროკანაბინოლი", „გაბაპენტინი" და „მონოაცეტილმორფინი". ექსპერტიზის მიხედვით, გარდაცვალების მიზეზი, შესაძლოა, გამხდარიყო ამ საშუალებების ზედოზირება".[279] ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა ე.წ. პირველადი ექსპერტიზის დასკვნის სახით, რასაც **არ იცნობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.**

ამის პარალელურად, 11 ივლისიდან სოციალური ქსელების მეშვეობით სხვადასხვა პირის მიერ გავრცელდა ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავას შესახებ პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. ამ ფაქტს გამოეხმაურა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და განაცხადა, რომ მასალებს ავრცელებდნენ პირები, რომლებსაც ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ სისხლის სამართლის საქმის ან ადმინისტრაციული საქმისწარმოების მასალებზე, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მფლობელობაში არსებულ იმ საინფორმაციო ბაზებზე, სადაც, შესაძლოა, ინახებოდეს ხსენებული მონაცემები მათი სიზუსტის შემთხვევაში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფაქ-

---

[274] „ტვ პირველის" ოპერატორი, რომელსაც ძალადობრივი ჯგუფები სასტიკად გაუსწორდნენ, გარდაცვლილი იპოვეს", „ტელეკომპანია პირველის" ვებგვერდი, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kPpBfx, განახლებულია: 11.11.2021.

[275] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, შსს-ს ვებგვერდი, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30ikOf7, განახლებულია: 11.11.2021.

[276] „ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, ლექსო ლაშქარავას ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს", „ტელეკომპანია მთავარის" ვებგვერდი, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31OivRz, განახლებულია: 11.11.2021.

[277] „გარდაცვლილი ოპერატორის გამოძიებაში დამოუკიდებელი ექსპერტი ალექსანდრე გეჯაძე ჩაერთვება", „ტელეკომპანია პირველი", 11.11.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DcLyMo, განახლებულია: 11.11.2021.

[278] შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრიფინგი ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ, შსს-ს ვებგვერდი, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F7ZCHF, განახლებულია: 11.11.2021.

[279] შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრიფინგი ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ, შსს-ს ვებგვერდი, 12.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c6oLWE, განახლებულია: 11.11.2021.

ტზე შემოწმება დაიწყო.[280] 2021 წლის 24 სექტემბერს კი მან საზოგადოებას ა. ლაშქარავას პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების თაობაზე ჩატარებული შემოწმების შედეგები გააცნო. ინსპექტორმა განაცხადა, რომ შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებას არ ჰქონდა კონკრეტული და მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზანი.[281] კერძოდ: *„ვინაიდან 2021 წლის 11 ივლისს სამინისტროს მიერ გასაჯაროებული ვერცერთი ვიდეოჩანაწერი ვერ პასუხობდა საზოგადოებაში არსებულ მთავარ კითხვას გარდაცვალების კონკრეტულ მიზეზთან დაკავშირებით და, ამასთან, ბრიფინგებზე არ იყო განმარტებული ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავას გარდაცვალებასთან ამ ჩანაწერების კავშირი, სამინისტროს მიერ ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავას გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერების გასაჯაროება შეფასდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპის დარღვევად“.*[282]

ინსპექტორმა ასევე დაადგინა, რომ შს სამინისტრომ სამედიცინო დაწესებულებიდან, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მოიპოვა 2021 წლის 12 ივლისს ბრიფინგზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი აუდიო-ვიდეო ჩანაწერი. მასზე წვდომისა და სამედიცინო დაწესებულების კომპიუტერული მოწყობილობიდან მისი გადმოწერის დროს სამინისტროს არ შეუდგენია საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ამსახველი საპროცესო დოკუმენტი. ამ ნაწილთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორმა დაადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამედიცინო დაწესებულების მხრიდან მონაცემთა დამუშავების საფუძვლების დარღვევა.[283]

გარდა ამისა, ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ა. ლაშქარავას შესახებ ინტერნეტსივრცეში გავრცელებული მასალა შსს-ს საინფორმაციო ბაზაში (info.pol.ge) აღრიცხული ინფორმაციის იდენტური აღმოჩნდა. შესაბამისად, მან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლ(ებ)ის მხრიდან ა. ლაშქარავას პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ფაქტი დაადგინა. **<u>სახელმწიფო ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმებების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა.</u>**[284]

საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2021 წლის 11 და 12 ივლისს ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების სისხლის სამართლის საქმეზე გასაჯაროებული სხვა ვიდეოჩანაწერები შს სამინისტრომ სხვადასხვა პირისგან, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მფლობელების წერილობითი თანხმობის საფუძველზე მოიპოვა და ისინი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დაათვალიერა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადებით, მათ მიერ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილებები არაერთგვაროვანია. აგრეთვე, საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის/დოკუმენტის მტკიცებულების სახით მოპოვების დროს საგამოძიებო ორგანოს პრაქტიკა განსხვავდება და იშვიათად ეფუძნება ამ მტკიცებულებების მოპოვებას დათვალიერების გზით.

---

[280] სახელმწიფო ინსპექტორის განცხადება, Facebook-გვერდი, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I1eABN, განახლებულია: 24.11.2021.

[281] სახელმწიფო ინსპექტორის განცხადება, Facebook-გვერდი, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oVvxVs, განახლებულია: 24.11.2021.

[282] „მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[283] იქვე.

[284] იქვე.

აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მოცემულ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანი იყო არა სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებით გამყარება, არამედ საზოგადოებაში ლექსო ლაშქარავას პიროვნების შესახებ გარკვეული ნეგატიური აზრის ჩამოყალიბება. ამაზე მეტყველებს ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის გასაჯაროებაც, რომელიც კომპლექსური ექსპერტიზის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო და ვერ პასუხობდა კითხვას ტელეოპერატორის გარდაცვალების რეალურ მიზეზთან დაკავშირებით. შსს-ს ქმედებები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გამოძიების აღმატებული მიზანი არა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, არამედ ზოგ შემთხვევაში კანონდარღვევით, გარდაცვლილ პიროვნებაზე არაეთიკური მინიშნებებით მოპოვებული არასრულფასოვანი ინფორმაციით საზოგადოების აზრის ფორმირება იყო. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ა. ლაშქარავას გარდაცვალებიდან 5 თვის შემდეგ ოჯახისა და მისი ინტერესების დამცველებისთვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები და დასკვნა, თუ რამ გამოიწვია მისი გარდაცვალება.

დასკვნა

2021 წლის 5 ივლისს სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად. აგრესიულმა ჯგუფებმა დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, ჩაიდინეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, შელახეს ლგბტქ+ თემის წევრებისა და მათი მხარდამჭერების შეკრებისა და გამოხატვის, ასევე, კერძო საკუთრების უფლებები, უხეშად ჩაერივნენ მედიის თავისუფლებასა და ჟურნალისტურ საქმიანობაში.

ხელისუფლებამ არ შეასრულა საკუთარი პოზიტიური ვალდებულებები. ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირების ნაცვლად, სახელმწიფოს წარმომადგენლების განცხადებებმა წაახალისა ძალადობა. სავარაუდო დაპირისპირების მოლოდინზე მიუთითებდა არა მხოლოდ მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულება, არამედ კონტრაქციის ორგანიზატორთა განცხადებებიც, რომლებიც პირდაპირ ამჟღავნებდა ძალადობრივ მიზანს. მიუხედავად ამისა, შსს-მ არ უზრუნველყო სათანადო საპოლიციო ძალის მობილიზება, ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება და მათი აღკვეთა.

ასევე, პრობლემურია „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე მომხდარ შესაძლო დანაშაულებზე დაწყებული გამოძიებები. გამოძიების ეტაპზე საიას დაცვის ქვეშ მყოფ დაზარალებულებს არ მიეცათ მტკიცებულებების სრულყოფილად გაცნობის საშუალება. აგრეთვე, უნდა ითქვას, რომ მტკიცებულებათა დიდი ნაწილი ხელმისაწვდომია საგამოძიებო ორგანოებისთვის, ვინაიდან სავარაუდო დანაშაულის ფაქტები და ფიგურანტები საჯაროდ გავრცელებული ვიდეოჩანაწერებიდანაც იკვეთება. შესაბამისად, ეფექტიანი გამოძიების ფარგლებში და სათანადო ნების არსებობის პირობებში ბრალდების მხარე შეძლებდა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორთა და მასში მონაწილე სხვა პირთა გამოკვეთას.

სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლების მიმართ ხელის შეშლისა და თავდასხმის შემთხვევების დროულ აღკვეთას, არაეფექტიანი გამოძიებით სათანადო რეაგირების გარეშე ტოვებს მომხდარ დანაშაულებს. მსგავსი დამოკიდებულება ახალისებს ძალადობას, აჩენს „დაუსჯელობის სინდრომს“ და საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. მსგავსი ფაქტები ქვეყანაში ბადებს პროფესიული საქმიანობის განხორციელების, პიროვნების იდენტობის, აზრის გამოხატვისა და თავისუფალი განვითარების შიშს. ეს კი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს იდეას.

რეკომენდაციები

სახელმწიფო უწყებებსა და მათ წარმომადგენლებს

- შეწყვიტონ სიძულვილის ენით საუბარი, დაგმონ ძალადობრივი მოწოდებები და ქმედებები, საჯარო განცხადებების მეშვეობით უზრუნველყონ ტოლერანტული, უფლებებზე ორიენტირებული პოზიციის ადვოკატირება.

საქართველოს მთავრობას

- შეიმუშაოს ეფექტიანი პოლიტიკა ჰომოფობიის დაძლევისა და საზოგადოებრივი დამოკიდებულების შეცვლის მიზნით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- დაიცვას ლგბტქ+ ადამიანების უფლებები და უსაფრთხოება, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ამ პირებმა შეძლონ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სათანადოდ სარგებლობა;
- დაიცვას მედიის წარმომადგენლები ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლისგან, სათანადოდ უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება და გამოხატვის თავისუფლება;
- დაპირისპირების საშიშროების არსებობისას მიიღოს ეფექტიანი პრევენციული ზომები, მათ შორის, უზრუნველყოს სათანადო საპოლიციო ძალის მობილიზება;
- ჰქონდეს დროული და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება ძალადობრივ მოწოდებებსა და ქმედებებზე;
- 5 ივლისის ძალადობრივ ქმედებებში მონაწილე პირთა და ორგანიზატორთა დასადგენად განაგრძოს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები.

საქართველოს პროკურატურას

- დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, გამოკვეთოს ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორებისა და მასში მონაწილე სხვა პირების ბრალეულობა.